# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 20 ივლისი. 2023 წ. №85 (9617) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, ევროპარლამენტიც!




იხ. 2 გვ.


## სააკაშვილის ლობისტების ნაჯღაბნი ევროპარლამენტის ანტიქართული რეზოლუციის საფუძვლად იქცა!







თანხის გადამრიცხავებს შორის არიან გიული ალასანია, თემურ ალასანია და კომპანია „აკერმანი“. მათგან ყველაზე მსხვილი გადარიცხვა თემურ ალასანიამ განახორციელა, თითქმის 32 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით.

## ქართულ პოლიტიკაში, შესაძლოა, ახალი მილიარდერი, ყაზახეთში მოღვაწე მიხეილ ლომთაძე ვიხილოთ...




4




## დონალდ ტრამპი: არსენალი ცარიელია, ხაზინა დაიშალა, ქვეყანა სრულიად დამცირებულია!..

სამ წელზე ნაკლები ხნის წინ, მე მთლიანად აღვადგინე შეერთებული შტატების არმია და ამერიკა ძლიერ გლობალურ პოზიციამდე მივიყვანე. ოცდაცხრა თვის შემდეგ, არსენალი ცარიელია, ხაზინა დაიშალა, ჩვენი ქვეყანა სრულიად დამცირებულია და გვყავს კორუმპირებული, თაღლითი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რომელიც მესამე მსოფლიო ომში გვითრევს.

ევროპას ვთხოვ, აგვინაზღაუროს უკრაინაში გაგზავნილი იარაღის მარაგის აღდგენის ხარჯები. როცა თეთრ სახლში დავბრუნდები, პირველ დღეს ჩვენ დავუბრუნდებით საერთაშორისო პოლიტიკას, რომელიც პირველ ადგილზე დააყენებს შეერთებულ შტატებს, – აცხადებს ტრამპი.

## ალექსეი არესტოვიჩი: ჩვენ ვიპარავთ ამერიკის ფულს, ამერიკელები კი ითხოვენ, რომ ჩვენ ეს შევაჩეროთ!




3


## დრანდის ტაძარი რუსულ ეკლესიად იქცა




6


## ილიკო ფერაძე: „ყვავილების ქვეყანას“ ტექსტი ეკუთვნის ჩემი და ბია ფერაძის მამას ბიძინა ფერაძეს




7


## უშველის ერდოღანს „ამერიკელი“ პაფიზე ხანუმი?!




8

**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გიული ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის შესახებ ახალი ინფორმაცია გამოქვეყნდა, სამშობლოს ღალატის გაცხადებული ქრონიკა! ანუ, იყიდეთ! იყიდეთ! იყიდეთ! ვინც გინდათ ევრო-ამერიკულად!**

**გოგა ხაინდრავა**

# სააკაშვილის ლობისტების ნაჯღაბნი ევროპარლამენტის ანტიქართული რეზოლუციის საფუძვლად იქცა!



**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი გიული ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიებისა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.**

**დოკუმენტებით დგინდება, რომ ლობისტურმა კომპანიებმა „აკერმანმა“ (AKERMAN) და „ჯიპი ინთერნეიშენალმა“ (GP INTERNATIONAL) ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა სახის აქტივობა განახორციელეს. კომპანია „აკერმანის“ დეკლარაციაში აღნიშნულია შემდეგი აქტივობები:**

„სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სატელეფონო ზარები და ელექტრონული წერილები სამედიცინო ექსპერტებთან, ქართველ იურისტებთან და კონსულტანტებთან;

ევროპარლამენტისთვის შეთავაზებული რეზოლუციის პროექტების მომზადება;

საკონფერენციო ზარი „როიტერთან“ ლობირებისა და დიპლომატიური ძალისხმევის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებას სიცოცხლის გადარჩენის მიზნით;

მასიმო დ'ანჯელოს ინტერვიუ CNN-თან;

კომუნიკაცია ევროპარლამენტის წამების პრევენციის კომიტეტთან დახმარების მისაღებად;

სააკაშვილის სიტუაციის შესახებ სტატიის მომზადება;

კომუნიკაცია ქართული პოლიციის მიერ სააკაშვილის წამების ვიდეოკადრების საზოგადოებისთვის გავრცელებისთვის;

კომუნიკაცია სააკაშვილის საქმის მაგნიტსკის სიაში შეტანის, ტექსტისა და მასალების მომზადებასთან დაკავშირებით;

კოორდინაცია გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ პირებთან აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენსა და პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ მაკკოლისთვის მასალების გადაცემის მიზნით;

მუშაობის გაგრძელება მაგნიტსკის სიისთვის ტექსტისა და მასალების მომზადებასთან დაკავშირებით და მასალების გეგმური გავრცელება აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის არჩეულ ჩინოვნიკებთან, მათ შორის სენატორ ჯეიმს რიშთან.

ამერიკელი სენატორების დარწმუნების სტრატეგია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქციების გატარებაში;

მუშაობის გაგრძელება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და საქართველოში სასამართლოებში სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, მათ შორის მუშაობა ამ პროცესების სამართლებრივ დოკუმენტებზე და მასთან დაკავშირებულ მედიაგაშუქებაზე;

კომუნიკაცია გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ პირებთან და მცდელობა, დაერწმუნებინათ ენტონი ბლინკენი და კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ მაკკოლი გაეტარებინათ სანქციები საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ;

კომუნიკაცია აშშ-ის საელჩოს თანამდებობის პირებთან თბილისში, საქართველოში და ოფიციალურ პირებთან პოლონეთში, რათა მიეცათ პოლონელი ექიმებისთვის უფლება, ემკურნალათ სააკაშვილისთვის;

ნიუ იორკში ვიზიტის დროს საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან შეხვედრის მოწყობის მცდელობა, სააკაშვილის შეწყალების მოთხოვნით;

ევროპარლამენტის წევრებთან კომუნიკაციის გაგრძელება“, – ნათქვამია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებში.

**აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ, კომპანია „ჯიპი ინთერნეიშენალის“ დეკლარაციაში მითითებულია, რომ ლობისტური საქმიანობისთვის გადახდილია 96 ათას 393 ამერიკული დოლარი. თანხის გადამრიცხავებს შორის არიან გიული ალასანია, თემურ ალასანია და კომპანია „აკერმანი“. მათგან ყველაზე მსხვილი გადარიცხვა თემურ ალასანიამ განახორციელა, თითქმის 32 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით. ამასთან, კომპანია „აკერმანის“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მათ მიხეილ სააკაშვილის სასარგებლო ლობისტური საქმიანობისთვის თემურ ალასანიასგან, საერთო ჯამში, 75 ათას 451 დოლარი მიიღეს.**

## დიმიტრი ხუნდაძე: თუკი დიდი ფულის ფასად ყველაფრის ლობიზმში ევროპარლამენტარებმა რეზოლუციები უნდა „აცხონ“ და სანქციები არიგონ, მაშინ საკუთარი თავი არა მხოლოდ რუსეთისგან გვქონია დასაცავი, არამედ - პარტნიორებისგანაც

**„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გიული ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის აქტივობების შესახებ ახალი ინფორმაციის გამოქვეყნებას განცხადებით ეხმაურება.**

როგორც დიმიტრი ხუნდაძე წერს, თუკი ამერიკისა და ევროპარლამენტის მაღალი რანგის თანამდებობის პირები ფულის სანაცვლოდ ამ ბინძურ პოლიტიკურ თამაშში ერთვებიან, მაშინ დეზინფორმაცია სწორედ მათგან მომდინარე ყოფილა.

**„თუ დასავლეთისთვის მიხეილ სააკაშვილი უფრო ღირებულია, ვიდრე საქართველო და კანონის უზენაესობა, მაშინ პრობლემა თავად დასავლეთს ჰქონია.**

**თუკი სისხლის სამართლის დამნაშავე ჰუმანიტარული მიზნით უნდა გათავისუფლდეს და მისი ბიოლოგიური მასალა „საერთაშორისო სანდოობის“ ევროპელმა ექიმებმა წინდებით უნდა ატარონ, თუკი დიდი ფულის ფასად ამ ყველაფრის ლობიზმში ევროპარლამენტარებმა რეზოლუციები უნდა „აცხონ“ და სანქციები არიგონ, მაშინ საკუთარი თავი არა მხოლოდ რუსეთისგან გვქონია დასაცავი, არამედ - პარტნიორებისგანაც.**

**თუკი ამერიკისა და ევროპარლამენტის მაღალი რანგის თანამდებობის პირები ფულის სანაცვლოდ ამ ბინძურ პოლიტიკურ თამაშში ერთვებიან, მაშინ დეზინფორმაცია სწორედ მათგან მომდინარე ყოფილა. და რადგან მიხეილ სააკაშვილის ლობისტები დასავლეთშიც და საქართველოშიც მხოლოდ დეზინფორმაციით იბრძვიან, მათი ბრძოლის შედეგი მოახლოებულ არჩევნებში ბევრად უფრო მწვავე იქნება, ვიდრე - 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ხალხი პოლიტიკოსებს ასეთ ტყუილებს არასოდეს პატიობს.**

# პენტერა გიული ალასანია არაფერს მალავს!

**როგორც** გიული ალასანიამ უტიფრად აღიარა, ოჯახს დაქირავებული ჰყავდა იურიდიული ფირმა, რომელიც სააკაშვილის საქმეზე მუშაობდა.

„რას ნიშნავს ლობისტები იურიდიული ფირმა იყო და დიახ, დავიქირავეთ, მუშაობდნენ ჩვენზე ძალიან კარგად და მადლობელი ვარ. ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის დოკუმენტს არ ვიცნობ, არ წამიკითხავს. იყო მედიაჯგუფი, რომელიც ასევე დავიქირავე, მერე რა არის?“...







**რა და, ის არის გიული ხანუმ, რომ შენ და შენი ძმა თემურ ალასანია ყველაფრის მკადრებელი საერთაშორისო აგენტები ხართ და ძირს უთხრით მაოხრებელი ნაცებისგან და ავადმყოფი მიშასგან გაპარტახებული საქართველოს საყოველთაო მშვიდობას, უსაფრთხოებას, ეკონომიკურ წინსვლას.**

**უფრო გასაგებად, თქვენს მოქმედებას სამშობლოს გაყიდვა და ღალატი ჰქვია!**

## თეა წულუკიანი: სააკაშვილი პრეზიდენტობის დროსაც და შემდეგაც, მუშაობს ქართველი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ...



**გავიგეთ რეალურად ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თურმე ევროპარლამენტის სხვადასხვა რეზოლუცია, რომელიც საქართველოს, მის ხალხს, მის მთავრობას აკრიტიკებს, ყოფილა დაკვეთილი და ამაში ფული ყოფილა გადახდილი,** – ამის შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ინფორმაცია სახელმწიფო უწყების მიერ გამოქვეყნდა, იმიტომ რომ როგორც ჩვენ ყველას უკვე კარგად გვახსოვს და ვიცით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს კანონი, ლობისტური საქმიანობისა და სხვადასხვა ფინანსური დონაციების გამჭვირვალობის შესახებ. სწორედ, ასეთი კანონის მიღება გვინდოდა ჩვენ, რომელიც მოინათლა „რუსულ კანონად" და ვერ იქნა სამწუხაროდ მიღებული. ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის ხელიდან გაშვებული უზარმაზარი შანსი. რომ არ ჰქონდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ასეთი კანონი, ჩვენ ვერ გავიგებდით დღეს იმას, რაც გავიგეთ.**

**გავიგეთ რეალურად ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ევროპარლამენტის სხვადასხვა რეზოლუცია, რომელიც საქართველოს, მის ხალხს, მის მთავრობას აკრიტიკებს ყოფილა დაკვეთილი და ამაში ფული ყოფილა გადახდილი. ასევე გავიგეთ ის, რომ საქართველოს პრეზიდენტზე ზეწოლაში, რომ შეიწყალოს მიხეილ სააკაშვილი ფულია გადახდილი, რომ თურმე სოციალური ქსელების, რომელიც ახალი ტიპის მედიაა თანამედროვე დროის და ასევე ტრადიციულ მედიაში სტატიები, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული და სააკაშვილის სასარგებლოდ არის დაწერილი, ესეც ნაყიდი ყოფილა.**

**რაც ასევე ძალიან შემაწუხებელია და არის დიდი სკანდალი, რომლის მიჩუმათებაც და გაუბრალოებაც დარწმუნებული ვარ, პირველივე წუთებიდან დაიწყება, დადასტურდა, რომ საქართველოსთვის სანქციების დაწესებაში სააკაშვილი და მისი ბანდა იხდიდა ფულს და ჯერ მადლობა ღმერთს, რომ ამას ვერ მიაღწია. ფულს იხდიდა ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი პირების მიმართ ზეწოლის განხორციელებაში, რომ მათ დაეწესებინათ ჩვენი ხალხისთვის სანქციები და ასევე დიდ ბრიტანეთში, რომ მათაც იგივე გაეკეთებინათ ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის.**

**ეს არის მათი სახე, როდესაც ჩვენი ქვეყნის სამწუხაროდ, ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელიც ახლა „ვივამედში" ბინადრობს, პრეზიდენტობისასაც და პრეზიდენტობის შემდეგაც, უარი თქვა რა საკუთარ სამშობლოზე, მუშაობდა და მუშაობს ქართველი ხალხისა და თავისი ქვეყნის წინააღმდეგ. ახლა უკვე დადასტურებულად ვიცით, რომ ის ამაში ფულის გადახდასაც არ ერიდება. ეს რა თქმა უნდა, არის ძალიან დიდი მასშტაბის სკანდალი და ჩვენ ველოდებით ახსნა განმარტებებს.**

**ვინაიდან, ეს ყველაფერი უკვე არ არის ერთი კონკრეტული პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ მიმართული, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, მე და ჩემი კოლეგები. ეს არის ქვეყნისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. ამიტომ მათ მოუწევთ ახსნა-განმარტება ჩაგვაბარონ და გვითხრან, რატომ ებრძვიან საკუთარ სამშობლოს საზღვარგარეთ.**



## თეა წულუკიანი: სალომე ზურაბიშვილი უკვე დიდი ხანია, გაღმაა გასული



– ამის შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომლითაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომლის, პიერ-ალექსანდრე კრევოს შესახებ დასმულ კითხვას უპასუხა.

**მანამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილმა თანამშრომელმა, პიერ-ალექსანდრე კრევომ, რომელიც ორი დღის წინ „ნაციონალურ მოძრაობაში" ერთ-ერთ თანამდებობაზე დაინიშნა, განაცხადა, რომ იმედი აქვს, სალომე ზურაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს შეიწყალებს. მისივე შეფასებით, „სალომე ზურაბიშვილი ნელ-ნელა ხედავს სააკაშვილის შეწყალების საჭიროებას".**

**პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც ალექსანდრ კრევო არასდროს იკავებდა პრეზიდენტის მრჩევლის პოზიციას და ის იყო სტაჟიორი.**

## დავით ხიდაშელი: საქმე არ აქვთ და აგორებენ ტყუილებზე აგებულ ინფორმაციას



ბიზნესმენი **დავით ხიდაშელი** „რუსთავი 2-თან" აცხადებს, რომ მიწების წართმევასა და დაბრუნებაზე გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა.

**„საქმე არ აქვთ და აგორებენ ტყუილებზე აგებულ ინფორმაციას. წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ლაპარაკობთ, რა მიწების წართმევა-დაბრუნებაზე?! ვინაიდან ნადირობა საქართველოში არის ლიცენზირებული საქმიანობა, იმ კომპანიას აქვს ნაყიდი ნადირობის ნებართვა, წერტილობრივ მოწყობილ ნებადართულ ტერიტორიებზე მართვის გეგმის მიხედვით და არც მიწა უყიდია, ან უქირავებია, არც ტყე.**

**ჩემზე ტყუილების გავრცელებას კი თავი დაანებოს ყველამ.**

**რაც შეეხება მელაშვილის კომენტარებს დავით ხიდაშელზე და ხალხზე თავის სასარგებლოდ ინტერპრეტირებულ ინფორმაციის მიწოდებაზე, ვაცხადებ კიდევ ერთხელ: საქართველოს საზღვრების დემარკაციის კომისიას ყოველთვის ჰქონდა და აქვს დავალებული, რის საფუძველზე უნდა მოახდინოს საზღვრის დადგენა და დემარკაცია. კომისიამ გაავლო , შეუთანხმა აზერბაიჯანის მხარეს საზღვრის გარკვეული მონაკვეთები და დაამოწმა ხელმოწერებით .**

**თუ რაზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული დოკუმენტის მიღება, სწორია თუ არა და რა მოჰყვა ან მოჰყვება ამას, ეგ სასამართლომ გაარკვიოს. მე მოვიძიე და გადავეცი უამრავი მასალა, რომლის გამოყენებაც მთავრობების ძველ მიღებულ შეთანხმებებს (საფუძველს) ამაგრებს და ამტკიცებს,"** – აღნიშნავს ხიდაშელი.



## ედიშერ გვენეტაძე: რადას შეფასებას ჩალის ფასი აქვს!

**„უკრაინის რადამ მიიღო რაღაც ფარატინა დადგენილება, აქაოდა მიშა სააკაშვილი ჩვენი მოქალაქეა და გამოუშვითო...**

**ლეგიტიმური კითხვები არსებობს ამ საქმეზე და მინდა ეს კითხვები საჯაროდ დავსვა...!**

**1 – რატომ არ გამოიძია უკრაინულმა მხარემ სააკაშვილის მიერ უკრაინის საზღვრის არალეგალურად გადმოკვეთა?**

**2 – რატომ არ დაკითხეს დაზვერვის შეფის მოადგილე, ლორთქიფანიძე, რომელმაც პირადად აღიარა, რომ ის ეხმარებოდა სააკაშვილს უკრაინის საზღვრის უკანონოდ კვეთაში?**

**3 – რატომ არ ჩატარდა გამოძიება სხვა ფიგურანტების გამოსავლენად, ვინც სააკაშვილს უკრაინის საზღვრის უკანონოდ კვეთაში დაეხმარა?**

**4 – რატომ მიჩქმალეს უკრაინელმა ძალოვნებმა მათი მოქალაქის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული?**

**სანამ კრიმინალი სააკაშვილის მიერ, უკრაინის საზღვრის უკანონოდ კვეთას არ მიეცემა მათი სამართალდამცავების მიერ სამართლებრივი შეფასება, რადას და ცალკეული დეპუტატების პოლიტიკურ შეფასებებს აქვს ჩალის ფასი.....!"**

# უკრაინის ნამდვილი სახე



## ალექსეი არესტოვიჩი: ჩვენ ვიპარავთ ამერიკის ფულს, ამერიკელები კი ითხოვენ, რომ ჩვენ ეს შევაჩეროთ!

**ის, რომ დასავლეთს ახლა ჰყავს სუსტი ლიდერები, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლიათ, არანაირად არ ცვლის იმ მოცემულობას, რომ ჩვენ ამ ლიდერებზე სრულად ვართ დამოკიდებულები. ჩვენი მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ფსონი ემოციური შანტაჟის პოლიტიკაზე და პერფორმანსის პოლიტიკაზე გავაკეთეთ,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩეველი ალექსეი არესტოვიჩი წერს.

**– ის, რომ დასავლეთს ახლა ჰყავს სუსტი ლიდერები, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლიათ, არანაირად არ ცვლის იმ მოცემულობას, რომ ჩვენ ამ ლიდერებზე სრულად ვართ დამოკიდებულები. ჩვენი მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ფსონი ემოციური შანტაჟის პოლიტიკაზე და პერფორმანსის პოლიტიკაზე გავაკეთეთ. ამის ნაცვლად უნდა დავკავებულიყავით (2022 წლის 25 თებერვლიდან, 2019 წლიდან, 2014 წლიდან, 2008 წლიდან, 1991 წლიდან, 1648 წლიდან) საკუთარი პარტნიორული თვისებების გაუმჯობესებისა და რეალური სუვერენიტეტის მოპოვების პოლიტიკით. გმირობა უფრო ადვილია, ვიდრე რეალური სისტემური მშენებლობის განხორციელება. ნებისმიერმა სამხედრომ იცის, რომ გმირობა ჩავარდნების შედეგია. მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში ჩვენი მასობრივი გმირობის გათვალისწინებით, შეგიძლიათ შეაფასოთ, რამდენი ჩავარდნა გვქონდა.**

**ბუნებრივია, რომ პარტნიორებს, რომლებიც ინახავენ ჩვენს ეკონომიკასა და თავდაცვის ძალებს, აქვთ საკუთარი მიზნები საგარეო პოლიტიკაში და ისინი ცოტაოდენ გაკვირვებულები არიან ჩვენი პოზიციით, როდესაც ჩვენ მათ მიმართ ემოციური შანტაჟით ვართ დაკავებულები და ვითხოვთ, მათი მიზნები ჩვენი მიზნებით ჩაანაცვლონ – ამასთანავე, ვიპარავთ მათი გადასახადების გადამხდელების ფულებს.**

**1. ამერიკელები არ აპირებენ, საბოლოოდ დაამარცხონ რუსეთი (რათა ის სრულად ჩინეთის ქვეშ არ აღმოჩნდეს). ისინი ასევე არ დაუშვებენ, რომ ჩვენ საბოლოოდ დავმარცხდეთ.**

**2. ჩვენ ვითხოვთ სრულ გამარჯვებას და რუსეთის დაშლას – ამერიკის ფულით.**

**3. ჩვენ ვიპარავთ ამერიკის ფულს – ამერიკელები კი ითხოვენ, რომ ჩვენ ეს შევაჩეროთ.**

**აი, ეს არის იმის სქემა, რაც ვილნიუსში მოხდა, ამ ომთან დაკავშირებით და ზოგადად – ჩვენს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ხოლო საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. უკრაინისადმი ნატოს პირველ მოთხოვნად „კორუფციასთან ბრძოლა" შემთხვევით არაა დასახელებული.**



## გიგლა ბარამიძე: იუდას გზა- სააკაშვილების ოჯახის გზა!

**„იუდას გზა – სააკაშვილების ოჯახის გზა! 30 ვერცხლი, საქართველოს ღალატისთვის!"**

**„მაოხრებელი გზირის" მორიგი წუნკალი ქმედება, უკვე საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადასტურებული. საქართველოს ხელისუფლებავ, როდემდე ვითმინოთ ქართველი ხალხისგან წაგლეჯილი თანხებით, ქვეყნის ამოგდების მუხთალი მცდელობა?",** – წერს **გიგლა ბარამიძე** სოციალურ ქსელში და ეხმიანება აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს.

**ქართული ოპოზიციური ველი გაკოტრებულია. ოპოზიცია ისევ ქუჩაზე ამყარებს პოლიტიკურ იმედებს, რადგან გაკოტრებულმა ძალამ იცის, რომ არჩევნებით იმ პოლიტიკურ შედეგს ვერ დადებს, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლებაში დაბრუნებას. რადიკალურ ძალას მხარს უჭერს ევროპელი პოლიტიკოსების გარკვეული ძალები, რომლებმაც ოპოზიციას ლიდერად დაუნიშნა „მედია მენეჯერი“ ნიკა გვარამია.**

**გვარამია ამჯერად უკრაინაში მყოფ ქართველ სამხედროებთან მართავს შეხვედრებს, რომლებიც სოციალური ქსელიდან მოუწოდებენ თანამოაზრეებს, რომ არ ჩავიდნენ უკრაინაში საომრად, დარჩნენ საქართველოში, რადგან თავადაც მალე დაბრუნდებიან საქართველოში და ერთად უნდა იბრძოლონ პრორუსული ხელისუფლების დასამხობად.**



# ქართულ პოლიტიკაში, შესაძლოა, ახალი მილიარდერი, ყაზახეთში მოღვაწე მიხეილ ლომთაძე ვიხილოთ...

საქართველოს მთავრობის მეთაურის განცხადებით, დღეს ოპოზიცია არის აბსოლუტურად განულებული, დეგრადირებული, ფრაგმენტირებული და მთლიანად დაშლილი. **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, პირდაპირი მტკიცებულებები ჰქონდათ წარმოდგენილი ოპოზიციის კოორდინაციის შესახებ უკრაინის ხელისუფლებასთან. პრემიერი აცხადებს, რომ პოლიტიკურ ველზე დაბრუნდება ზიზღის რიტორიკა, რაც უფრო გააღრმავებს პოლარიზაციას.

მოსალოდნელი დესტრუქციის ფონზე საინტერესოა, როგორი იქნება საქართველოს პოლიტიკური ველი 2024 წლის არჩევნებისთვის და როგორი იქნება ძალთა ბალანსი მომავალ პარლამენტში? საქართველო ფორმალურად და ნაწილობრივ, ფაქტობრივად, კვლავ რჩება დასავლეთის ორბიტაზე, თუმცა „სუვერენიზმის კბილები“ ხელისუფლებამ 2019 წლიდან გამოაჩინა. ქართული ხელისუფლების „ამბოხის“ საბაბი **შარლ მიშელის** შეთანხმება გახდა, რომლის გარშემო დატრიალებულმა პროცესებმა დასავლეთი ისეთი ოდიოზური ფიგურების დამცველების როლში ჩააყენა, როგორებიც იყვნენ ქართული პოლიტიკის მთავარი „მომნანიებელი“ და **მიხეილ სააკაშვილის** ზონდერ ბრიგადების მხედართმთავარი გავრილოვის ღამის პარლამენტის შტურმის დროს, ექს-

> **დასავლეთსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმებულ პრივილეგირებულ ლიბერალურ ნიშაში პარტიების ყველაზე დიდი სიმჭიდროვეა. პირადი კეთილდღეობისთვის ბრძოლის და უცხოელი ბატონების მსახურების რბოლაში 15-მა პარტიამ „ლგბტ მემორანდუმსაც“ კი მოაწერა ხელი. ამ ნაბიჯით ისინი ამომრჩევლის 80%-ს გაემიჯნენ. გამოდის, რომ ეს პარტიები ლეგიტიმაციას არა ქართველ ამომრჩეველში, არამედ უცხოეთში ეძებენ, რადგან სწორედ უცხოეთი მოითხოვს ლგბტ მოძრაობის აქტიურ და ღია მხარდაჭერას.**

გენპროკურორი და კიდევ ორი „ექს“ - **ირაკლი ოქრუაშვილი,** საზოგადოებაში ხაზინის ქურდად ცნობილი, 50 მილიონი ლარის ორჯერ წამცუნცულებელი **გიგი უგულავა** და 90-იანი წლების სისხლიანი გარჩევების ერთ-ერთი მთავარი ანტიგმირის, ცნობილი მხედრიონელის და „ვერის საძმოს“ ლიდერის, არაერთ მკვლელობასთან ასოცირებული **გიორგი** (ჟორიკა) **რურუა.** საქართველოს ხელისუფლებებისგან სრულ მორჩილებას მიჩვეული კოლექტიური დასავლეთი სახტად დარჩა და მხოლოდ ცუდი სვლები აკეთა.

„ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების და ფსიქიურად არამდგრადი სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანით, დასავლეთის იმიჯმა საქართველოში დიდი დარტყმა მიიღო. სააკაშვილის ხელისუფლებას თავიდანვე ნება მისცეს ქვეყანაში ავტორიტარიზმი დაემყარებინა, რაც რადიკალური რეფორმების ჩატარების აუცილებლობით იყო განპირობებული. აზარტში შესული დიქტატორი კი საკუთარ სიხარბეს დაემორჩილა, ქვეყანა და ხალხი უმოწყალოდ ძარცვა.

> **ექსპერტების შეფასებით, დაახლოებით 17 მლრდ ლარი უნდა ყოფილიყო სააკაშვილის მონაგარი მხოლოდ საპროცესო გარიგებების გზით. სისხლიანი ტერორი ქუჩებსა და ციხეებში, ადამიანებისთვის ღირსების აყრა, წამება, სახელმწიფო ქონების „ორმაგი კონტრაქტებით“ გაყიდვა-განიავება, მედიის სრული კონტროლი, ჯიბის სასამართლო და პროკურატურა, მოსყიდული ლობისტები სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში გადაიქცა მართვის ფორმად.**

თუმცა, მაშინდელი დასავლეთი ამაზე თვალს ხუჭავდა, რადგან ზუსტად იგივეს ფიქრობდა, რაც თავის დროზე აშშ-ს პრეზიდენტმა რუზველტმა ნიკარაგუელი სისხლიანი დიქტატორის **ანასტასიო სამოსას** შესახებ თქვა: „სამოსა ძაღლიშვილია, მაგრამ ის ჩვენი ძაღლიშვილია“. ამას დაემატა 2008 წლის აგვისტოს ომი, როდესაც დასავლეთი სიტყვებით ერთს ამბობდა, რომ საქართველო არ უნდა წამოეგოს რუსეთის პროვოკაციებს, მაგრამ მათი გენერლები საქართველოს თავდაცვის სისტემაში ისხდნენ, ჯარს ამზადებდნენ და სამხედრო ოპერაციებს გეგმავდნენ.

ანალიტიკოსების შეფასებით, არ არის გამორიცხული, რომ 2008 წელს რუსეთ-საქართველოს მრავალწლიანი ომი იყო დაგეგმილი, სადაც 100,000 რეზერვისტს პარტიზანული ომი უნდა ეწარმოებინა, თუმცა რეზერვის მომზადების ფული შეიჭამა და ომის დროს ის არავის გახსენებია. ვინც თავისით გამოცხადდა, იმასაც უთხრეს – სახლში წადითო. ამ საკითხში სააკაშვილმა დამკვეთების იმედები არ გაამართლა – მთავარსარდალს შეეშინდა ფიზიკური განადგურების, ჯერ ჰალსტუხი დაღეჭა, შემდეგ გორში ასფალტზე იხოხა და 5 დღეში კაპიტულაცია გამოაცხადა, თანაც ისე, რომ აფხაზეთის და ცხინვალის საკითხის საერთაშორისო ასპარეზზე განხილვის მუხლი, რომელიც რუსეთთან შეთანხმებული იყო, სარკოზის ამოაღებინა შეთანხმებიდან, რითაც რუსეთს უბიძგა აფხაზეთის და ცხინვალის აღიარებისკენ. ამავე დროს დასავლეთის ინტერესების ყველაზე ერთგულ ქართველ მსახურებს საჯაროდ არაერთხელ გაუჟღერებიათ იდეა, ეღიარებინათ აფხაზეთი.

2004-2012 წლების დიქტატორული რეჟიმის უპირობო მხარდაჭერამ დასავლეთის რეპუტაცია საქართველოში ისტორიულ მინიმუმამდე დაიყვანა, საზოგადოება მიხვდა, რომ საქართველო მხოლოდ ინსტრუმენტია სხვის გეოპოლიტიკურ თამაშებში და არავინ არ აპირებს მისთვის „მარშალის გეგმის“ ინიცირებას.

> **„ქართულმა ოცნებამ“ ამბოხი მას შემდეგ დაიწყო, როცა** შარლ მიშელის **შეთანხმების დადებისას, ხელი მოაწერინეს სასამართლო სისტემის უცხოეთისთვის გადაცემაზე. როგორც ცნობილია, შეთანხმებაში პირდაპირ ეწერა, რომ მოსამართლეებს აარჩევს უცხოელ ექსპერტთა საბჭო. სასამართლო კი ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოა და ვინც მას აკონტროლებს, მას შეუძლია პოლიტიკის და ბიზნესის კონტროლი. ამ ნაბიჯის გადადგმა საქართველოს სრულ გარე მართვაზე გადაყვანას ნიშნავდა. მიუხედავად „ამბოხისა“, ხელისუფლება ცდილობს, ვითარება მაქსიმალურად არ გაამწვავოს, რათა ივანიშვილის მიმართ დე ფაქტო სანქციების ნაცვლად, ფორმალური სანქციები არ გამოიწვიოს.**

პოლიტიკურ სპექტრს რაც შეეხება, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, აქ თამაშის წესები უკვე კარგა ხანია შეთანხმებულია დასავლეთსა და ხელისუფლებას შორის. ასპარეზზე მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიის პროდასავლურ ძალებს უშვებენ. დისკურსიც და

> **ექსპერტების შეფასებით, დაახლოებით 17 მლრდ ლარი უნდა ყოფილიყო სააკაშვილის მონაგარი მხოლოდ საპროცესო გარიგებების გზით. სისხლიანი ტერორი ქუჩებსა და ციხეებში, ადამიანებისთვის ღირსების აყრა, წამება, სახელმწიფო ქონების „ორმაგი კონტრაქტებით“ გაყიდვა-განიავება, მედიის სრული კონტროლი, ჯიბის სასამართლო და პროკურატურა, მოსყიდული ლობისტები სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებში გადაიქცა მართვის ფორმად.**

კონკურენციაც მხოლოდ ამ იდეოლოგიის გამზიარებელ პოლიტიკოსებს შორის უნდა წარიმართოს და ამას რეიტინგულ ტელევიზიებში ფიგურების გამოჩენის სიხშირით არეგულირებენ. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პროპაგანდას მოსახლეობის მინიმუმ 50% ექვემდებარება.

საქართველოში სატელევიზიო რეკლამის ბაზარი კანონით ისეა მოწყობილი, რომ სარეკლამო შემოსავლების 60%-ს ხელისუფლების მხარდამჭერი მედია იღებს, ხოლო 40%-ს ოპოზიციური პროდასავლური ლიბერალების კუთვნილი მედია. განსხვავებას კი დასავლეთი გრანტებით ფარავს, რასაც ცხადია, ვალდებულებებიც მოყვება – მათ შორის, ლგბტ პროპაგანდა. რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ტელემედია კონტროლირებადი, დაბალანსებული დღის წესრიგით მუშაობს. ბალანსი კი მხოლოდ სასურველ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის უნდა იყოს.

თუმცა, არის ცალკეული, მართლაც თავისუფალი მედია, მაგრამ ისინი უსახსრობის გამო განვითარებას ვერ ახერხებენ და სოციალურ ქსელში ისინი პირდაპირი ცენზურის ობიექტები არიან. დაახლოებით ასეთი გარემოთი შევდივართ წინასაარჩევნო პროცესში. სიახლე კი ის იქნება, რომ ხმებს საარჩევნო უბნებზე ამერიკული ხმის დამთვლელი მანქანები დაითვლიან, რომელსაც აშშ-ში ტრამპის მხარე არ ენდობა და დიდწილად ამის გამოც, 2020 წლის 6 იანვარს კონგრესში შეჭრა მოხდა.

## როგორია პოლიტიკური ველი?!

**დასავლეთსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმებულ პრივილეგირებულ ლიბერალურ ნიშაში პარტიების ყველაზე დიდი სიმჭიდროვეა. პირადი კეთილდღეობისთვის ბრძოლის და უცხოელი ბატონების მსახურების რბოლაში 15-მა პარტიამ „ლგბტ მემორანდუმსაც“ კი მოაწერა ხელი. ამ ნაბიჯით ისინი ამომრჩევლის 80%-ს გაემიჯნენ. გამოდის, რომ ეს პარტიები ლეგიტიმაციას არა ქართველ ამომრჩეველში, არამედ უცხოეთში ეძებენ, რადგან სწორედ უცხოეთი მოითხოვს ლგბტ მოძრაობის აქტიურ და ღია მხარდაჭერას.**

გარდა ამისა, საქართველოში სანდო სოციოლოგიური კვლევები თითქმის არ ქვეყნდება. კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა ან პოლიტიკური პარტიის დაკვეთაა, ან უცხოეთის და შესაბამისად გამოცხადებული შედეგებიც მათ ინტერესებს ემსახურება. როგორც ჩვენი წყარო აცხადებს, არსებობს კვლევა, რომელიც არ გამოქვეყნებულა. ამ კვლევით, რომელიც 2023 წლის მაისში 3300 კაცზე ჩატარდა, ლიბერალიზმის მომხრე საქართველოში 12%-ია, ხოლო კიდევ 10%-თვის ლიბერალიზმი მეტ-ნაკლებად მისაღებია. ამ 12%-იან ნიშაში არიან 15 პარტია და ამავე ნიშაში „ოცნებაც“ აფათურებს ხელს თავისი „ღამის ეკონომიკის“ მრევლით. „ნაცმოძრაობა“ თავისი 5%-იანი რეიტინგით მყარად ლიდერობს. დანარჩენი პარტიებს 2%; 0.1% და 1,2% აქვთ.

საინტერესო კონფიგურაციას გვთავაზობს „ოცნება“, რომელმაც ორი სატელიტი შექმნა – „ხალხის ძალა“ და „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. ამავე წყაროს ინფორმაციით, სავარაუდოდ, ორივე პარტიად ჩამოყალიბდება და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. „ხალხის ძალა“ ტექნოლოგიური პროექტია და დასავლეთთან ფარიკაობისთვის შეიქმნა, **ხაინდრავა-გუნცაძე-გაჩეჩილაძის** პროექტი კი, ალბათ, კონსერვატიული მოძრაობის საარჩევნო მადის მოსათოკად არის შექმნილი, რაც ნათლად გამოჩნდა პრაიდის ჩაშლის მოვლენებისას, როცა სახელისუფლებო მედიამ მთავარ ჩამშლელად „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ გამოიყვანა.

**ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, თუ რისთვის დასჭირდა „ქართულ ოცნებას“ ამ ორი ახალი პარტიის შექმნა, რომლებსაც თუ ისევ „ოცნება“ არ მიეხმარა, ორივე მათგანი ჯამურად 1-2%-ს მიიღებს. ჩვენს ხელთ არსებული კვლევის თანახმად, ამომრჩევლის 59%-ს არ აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცემს ხმას 2024 წლის არჩევნებში. 41% ამბობს, რომ გადაწყვეტილი აქვს არჩევანი. გამოკითხულებს სთხოვეს იდეოლოგიური პლატფორმებიდან 3 სასურველი დაესახელებინათ. ქართველი ამომრჩევლის პოლიტიკური გემოვნება ასეთია – პატრიოტიზმი 73%, სოციალიზმი 27%; ლიბერალიზმი 22%; ნაციონალიზმი 15%; მემარჯვენე 12%; მონარქიზმი 12%; კომუნიზმი 11%; ცენტრისტული 4%.**

წლების განმავლობაში მემარცხენე პლატფორმის უპირობო ლიდერი იყო **შალვა ნათელაშვილის** ლეიბორისტული პარტია, მაგრამ ლიბერალურ პროდასავლურ ნიშაში გადანაცვლებამ, მას ეს ნიშა დიდწილად გამოათავისუფლებინა და დღეს მისი რეიტინგი ცდომილების მარჟის ფარგლებში მერყეობს. „ქართული ოცნების“ რეიტინგი ამ კვლევით 20%-ია, თუმცა ტრადიციულად გამოკითხულთაგან ნახევარზე ოდნავ მეტი მიდის არჩევნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ „ოცნებას“ პირველი ადგილისთვის ვერავინ შეეცილება, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით ვერ მოახერხებს უმრავლესობის ჩამოყალიბებას. მომავალი პარლამენტი, დიდი ალბათობით, კოალიციური იქნება. მმართველი კოალიციისთვის კი 10%-იან პოლიტიკურ ძალებთან მოლაპარაკება მოუწევს. ასეთი კი ჩვენი წყაროს ინფორმაციით არის – „ხალხის ძალა“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და „გირჩი“. თუმცა, საერთო ჯამში სამივეს მიერ 10%-ის მიღება საკამათოა. აქედან გამომდინარე, ახალი პოლიტიკური ჯგუფების გამოჩენას უნდა ველოდოთ, რაზეც უკვე საუბრობენ პოლიტიკურ „სამზარეულოებში“.

## ახალი პოლიტიკური ძალები

**2020 წლიდან აქტიურად მიდის საუბარი ახალ პოლიტიკურ პროექტზე, რომელსაც ტვ „იმედის“ მფლობელი ირაკლი რუხაძე და შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე გეგმავენ. რუხაძე „იმედის“ გარდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ფლობს, ხოლო ჯოხთაბერიძე „მაგთი“-ს. ამ ტანდემს უზარმაზარ ფინანსურ რესურსთან ერთად მედია აქტივებიც აქვს, რაც დიდი საქმეა საარჩევნო კამპანიისთვის.**

ამბობენ, რომ ამერიკელი სოციოლოგების ჯგუფიც კი იყო ჩამოსული მათი პოტენციური რეიტინგის გასაზომად. როგორც ჩანს, არცთუ ისე სახარბიელო შედეგი დაიდო და ამ ტანდემმაც დროებით პაუზა აიღო. ამ პროექტის 2024 წელს დაწყების ალბათობა მაინც არსებობს, თუმცა მინიმალური.

**ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ქართულ პოლიტიკურ ველზე შეიძლება ვიხილოთ ყაზახეთში მოღვაწე ქართველი მილიარდერი მიხეილ ლომთაძე, რომელმაც შესაძლოა, პროცესებში პირადად არ მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ პოლიტიკური და მედია პროექტი განახორციელოს. ამავე წყაროს ინფორმაციით, მსგავსი ნაბიჯის სტიმული ყაზახურ-რუსული ეკონომიკური და ბიზნეს ინტერესები იქნება, რაც რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას უფრო მიმზიდველს ხდის. თუმცა, საეჭვოა, რომ ივანიშვილი ასეთ პროექტს სიხარულით შეხვდეს, რადგან საქართველო იმდენად პატარაა, რომ ორი მილიარდერი ბევრი იქნება.**

ამ დრომდე ნათელი არ არის კიდევ ერთი მილიონერის **ლევან ვასაძის** პოლიტიკური გეგმები. შექმნა მოძრაობა, ავტორიტეტული ხალხიც შემოიკრიბა, ტელევიზიაც დააფუძნა თუმცა, როგორც თავად მიგვანიშნებს, მოწამლეს და ორ სასიკვდილო დაავადებას უმკლავდებოდა. ვასაძეს ნამდვილად ყავს მხარდამჭერები და გამართული საარჩევნო კამპანიის შემთხვევაში შეუძლია 5%-ზე მეტი შედეგი აჩვენოს. არ არის გამორიცხული, რომ ლევან ვასაძე „კონსერვატიული მოძრაობის“ პირველ ნომრად ვიხილოთ. კვლევის თანახმად, ლევან ვასაძე არაპარტიული პიროვნებებიდან სანდოობის თვალსაზრისით, პირველ ხუთეულშია.

**ამავე წყაროს ინფორმაციით, პოლიტიკურ პროექტში შეიძლება ვიხილოთ ანალიტიკოსთა ჯგუფი: სოსო მანჯავიძე, ირაკლი გოგავა, დემურ გიორხელიძე, მაია ნიკოლეიშვილი, ხათუნა ხოფერია და რუსუდან შარაძე. ამ გუნდმა შეიძლება ამომრჩევლის იმ ნაწილის ხმა მიიღოს, ვინც „ოცნებას“ ხმას აღარ აძლევს. თუმცა, მათი მთავარი პრობლემა მედიაზე წვდომა და ფინანსებია. არ არის გამორიცხული, რომ პრორუსული ძალებიც შეეცდებიან პოლიტიკური პროექტის რეალიზებას და არჩევნებზე გასვლას. ასეთ ფიგურად, პირველ რიგში, დიმიტრი ლორთქიფანიძე სახელდება. საქართველოში ღიად პრორუსული განწყობების ელექტორატი დაახლოებით 25%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ „კონსერვატიული მოძრაობა“ და „პატრიოტთა ალიანსი“ ამ ნიშას ვერ აითვისებს. სიურპრიზი არ არის გამორიცხული „ფრანგული“ ფრთიდან – მათ შეიძლება „რეფორმერის“ მსგავსი პროექტი კვლავ შექმნან.**

მაშ ასე, როგორც ჩანს, 2004 წლის არჩევნები იქნება საკმაოდ მძიმე თავისი შინაარსით. ანალიტიკოსების შეფასებით, იმ ფონზე, როდესაც ოპოზიციური პოლიტიკური ველი ცარიელია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ველის შევსება.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, საინტერესო იქნება გოგავა-მანჯავიძის გუნდის შემოსვლა და ფიქრობს, დაგვიანებულიც არის სწორედ ამ ტიპის და ამ ორიენტაციის პოლიტიკური პარტიები, როგორიც იგულისხმება გოგავა-მანჯავიძის პოლიტიკურ გემოვნებაში.

**„ყველა არჩევნების დროს რაღაცა სირთულე იყო და მე, შეიძლება დავეთანხმო მათ გადაწყვეტილებას იმიტომ, რომ ახლა ერთ-ერთი საუკეთესო დრო არის ახალი პარტიის გამოჩენისთვის, იმდენად ჩამქრალია მთლიანად ოპოზიციური მუხტი. ჩამქრალის გარდა არსებული ოპოზიციური ჯგუფი იმდენად მდარე ხარისხის პოლიტიკას სთავაზობს საზოგადოებას, რომ მაღალი ხარისხის პოლიტიკის მიწოდება საჭირო და დროულია. ეს ადამიანები სწორედ რომ მაღალი ხარისხის პოლიტიკურ ალტერნატივას გააჩენენ“,** – აცხადებს საყვარელიძე.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გუნდს ყველა მხრიდან შეუტევენ, ვინაიდან ისინი კონკურენტები იქნებიან იმ პოლიტიკური ძალების, რომლებიც დღეს მოქმედებენ პოლიტიკურ ველზე.

**„თუმცა, პოლიტიკა ბრძოლაა. პარტიების რაოდენობის მხრივ პრობლემა არ გვაქვს. მართლა შეგვიძლია გავაჩუქოთ ბევრი პარტია, მაგრამ ხარისხში ვაგებთ ძალიან. ვინმესთან შედარებით კი არა, არამედ როგორც ბარათაშვილს ჰქონდა ფრაზა – „ქართლის ბედიო“, აი „ქართლის ბედთან“ მიმართებაში არ გვაქვს პოლიტიკური ჯგუფების ის ხარისხი, რასაც ეს „ქართლის ბედი“ მოითხოვს ჩვენგან.**

**დღეს, ჩვენგან „ქართლის ბედი“ ხალხს არ მოითხოვს, არამედ მოითხოვს მაღალი დონის პოლიტიკურ კულტურას და აი, ამ მხრივ არის ეს ჯგუფი მისასალმებელი. მე მგონია, მათი ადგილი ისევ და ისევ იქნება კონსერვატიული ნიშა. ისევ და ისევ იმიტომ, რომ თვითონ „ქართულმა ოცნებამ“ გადაიწია კონსერვატიულობისკენ, თუმცა, ისევე როგორც ლიბერალიზმში არის უამრავი ტონალობა და ნიუანსი, რაც ანსხვავებს ამა თუ იმ ლიბერალურ ჯგუფს ერთმანეთისგან, ასევე კონსერვატიზმი შეიძლება ბევრნაირი იყოს. განსაკუთრებით საინტერესო არის კონსერვატიზმის თეორიული გააზრება“,** – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოსის **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, როცა საფრთხე არის რეალური, ამის გათვალისწინებით ახალი პოლიტიკური ძალის შემოსვლის სურვილი არის, მაგრამ ყველაფერი სურვილებით არ ხდება.

**„სურვილი მაქვს, რომ პოლიტიკურ ველზე შემოვიდეს მძლავრი ოპოზიციური თუნდაც გაერთიანება, რომელიც კონკურენციას გაუწევს და პოლიტიკური ველიდან განდევნის „ნაციონალურ მოძრაობას“ მაგრამ არის კი ამის შესაძლებლობა? ეს არის მთავარი კითხვა. დღეს ოპოზიციურობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. კიდევ ერთხელ ვამბობ, დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა არის კონსოლიდაცია. როგორ განაწილდება საქართველოში ხელისუფლება უკვე ჯანსაღ პოლიტიკურ ორგანიზაცებს შორის, ეს ხომ რამდენიმე დღის ამოცანაა. დღეს, ასეთი ამოცანა არ დგას. დღეს დგას ასეთი ამოცანა – ხელისუფლება რომ განაწილდეს, საქართველოს არსებობა არის აუცილებელი. შესაძლებელია, საქართველო როგორც სახელმწიფო ამ ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში აღარ იყოს“,** – განაცხადა For.ge-სთან საუბრისას **დავით ზარდიაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**



## ჯანმრთელობის დაფინანსება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა

### გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დედაქალაქში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის სექტემბრიდან სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამა დაიწყება.**

მისი თქმით, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ხელოვნური ანალოგით შეცვლის მიზნით, ერთი მოქალაქის დასაფინანსებლად, 6 000 ლარი განისაზღვრება.

**„დედაქალაქის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც, უამრავ ადამიანს ვეხმარებით. ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს მათთვის, ვინც საჭიროებს ენდოპროთეზირებას, რაც, დამეთანხმებით, საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება. სექტემბრიდან დავიწყებთ დედაქალაქში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამას, რაც მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ხელოვნური ანალოგით შეცვლის ოპერაციის დაფინანსებას გულისხმობს. პროგრამის მიმდინარე წლის ბიუჯეტი ნახევარი მილიონი ლარი იქნება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად დედაქალაქში მცხოვრებ კიდევ ხუთ ოჯახს გადაეცემა. აღნიშნული ოჯახებიდან ოთხი მათგანი – ჩუღურეთში, ხოლო ერთი სამგორში ცხოვრობს.

**„2017 წელს, წინასაარჩევნოდ თბილისის მოსახლეობას დავპირდით, რომ დაკანონების პროგრამას წამოვიწყებდით. ეს ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ საცხოვრებელ ფართებში და გარკვეული მიზეზების გამო, მას ვერ იკანონებდნენ. საუბარია იმ საცხოვრებელ ფართებზე, რომელიც სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის ბალანსზე იყო. დღეის მდგომარეობით, 2 700-მა ოჯახმა ისარგებლა აღნიშნული პროგრამით. კიდევ ხუთ ოჯახს დაუკანონდება საცხოვრებელი ფართი, მათგან ოთხს ჩუღურეთში, ხოლო ერთს სამგორში“.**

დედაქალაქის მერმა ანალოგიური პრობლემის მქონე მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად, რაიონულ გამგეობებს მიმართონ. გარდა ამისა, თბილისის მერის განცხადებით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირზე არსებული 2,5-კილომეტრიანი შუა ზოლის, გამწვანებული კუნძულების და სარაჯიშვილის სკვერის, ასევე, ლიბანის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია დაასრულა.

რაც შეეხება სარაჯიშვილის სკვერს, რომლის ფართობიც 6 000 კვადრატული მეტრია, თბილისის მერის ინფორმაციით, ტერიტორიაზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, განთავსდა საპარკო ავეჯი და დაირგო სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე. ამასთან, როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, 21 000 კვადრატული მეტრის ფართობზე განთავსებულ ლიბანის სკვერში განახლდა საფეხმავლო ბილიკები, შეიცვალა გარეგანათების ქსელი და მოეწყო ახალი სისტემა.

კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული საკითხი, რომელზეც თბილისის მერმა ყურადღება გაამახვილა, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების ახალი ქსელის მოწყობაა. კახა კალაძემ მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანს მშრალი ხიდიდან ბარათაშვილის ხიდამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში და ბარათაშვილის ხიდიდან ჩამომსვლელ პანდუსზე გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა – LED სანათების მონტაჟი დაავალა. გუშინდელ მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში 2023-2024 სააღმზრდელო წლისთვის ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. რეგისტრაციის წესში განხორციელებულმა ცვლილებებმა პროცესის ეფექტიანად წარმართვა უზრუნველყო.



დრანდის ტაძარი 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომამდე

# დრანდის ტაძარი რუსულ ეკლესიად იქცა

## როგორ მიზანმიმართულად შლიან ქართულ ისტორიულ კვალს!..

**რამდენიმე დღის წინ, რადიო თავისუფლებას რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთიდან დაუკავშირდნენ. იქ მცხოვრებმა ადამიანმა, რომელმაც მისივე უსაფრთხოების გამო, ანონიმად დარჩენა გვთხოვა, გვითხრა, რომ გულრიფშის რაიონში მდებარე ძველი ქრისტიანული ტაძრის, დრანდის იერსახე რუსული გავლენის ქვეშ გამოუსწორებლად იცვლება. ტერიტორიაზე მშენებლობა დროდადრო ისევ გრძელდება, რაც დრანდას მის თავდაპირველ, ავთენტიკურ სახეს საბოლოოდ დაუკარგავს და მას, ფაქტობრივად, რუსულ სამონასტრო ცენტრად აქცევს.**

**დრანდის ტაძრის საკითხი ქართულ და აფხაზურ სამეცნიერო წრეებში ბოლოს 2014 წელს გახდა აქტუალური. მაშინ, ეს თემა სოხუმის კულტურის ცენტრშიც კი განიხილეს. მეცნიერები შეშფოთებულები იყვნენ, რომ ე.წ. რეკონსტრუქციამ შეიწირა დრანდის ეკლესიის მე-7 საუკუნით დათარიღებული უნიკალური სანათლავი ემბაზი.**

აფხაზმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ მაშინ დაადანაშაულეს ილორისა და დრანდის ტაძრების მღვდლები უნებართვო მშენებლობასა და უძველესი სალოცავისადმი უყურადღებო დამოკიდებულებაში. მოითხოვდნენ, რომ უძველეს ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები სპეციალისტებს წარემართათ. თუმცა მას შემდეგაც, როგორც ჩვენი წყაროც გვეუბნება, ეკლესიის ტერიტორიაზე მშენებლობების, „ტერიტორიის მოწესრიგების“, გათხრების პროცესი არ შეწყვეტილა.

2014 წლის შემოდგომაზე საქართველოს პარლამენტშიც მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობას, მათ შორის დრანდას და როგორ მიზანმიმართულად იშლებოდა იქ ქართული ისტორიული კვალი.

დაახლოებით ერთი წლის წინ გადაღებული და იუთუბის არხზე გამოქვეყნებულ ფილმშიც – სახელწოდებით **„ცხოვრება დრანდის მონასტერში“**, მღვდელი **ანდრეი სტრუცკი** და მისი მრევლი – **ე.წ. ტრუდნიკები** (ეკლესიაში ნებაყოფლობით მუშაკები – **რ. თ.**) ყვებიან, როგორ შეცვალეს იქაურობა უკეთესობისკენ, როგორ გადარჩა ტაძარი, როგორ გაკეთდა სადრენაჟო სისტემა, როგორ აღარ სველდება კედლები, როგორ ამოთხარეს ძველი საფლავები და სხვაგან გადაიტანეს.

**ანდრეი სტრუცკი, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ავღანეთში იბრძოდა, იყო სამხედრო ექიმი. პირველად აფხაზეთში 2005 წელს ჩავიდა როგორც დსთ-ს სამშვიდობო ძალების შემადგენლობის წევრი. მაგრამ შემდეგ მან დაამთავრა სასულიერო სემინარია და მღვდლად აკურთხეს. ასე გახდა სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, ექიმი ანდრეი სტრუცკი სასულიერო პირი.**

ჩვენ ვეცადეთ აფხაზეთშიც მოგვეკითხა, რა ხდება დღეს ტაძრის ტერიტორიაზე და გრძელდება თუ არა იქ თვითნებური სამშენებლო სამუშაოები. გვაინტერესებდა აფხაზი ხელოვნების ისტორიკოსების აზრიც, მათ შორის, იმ ადამიანების, ვინც რამდენიმე წლის წინ დრანდის ზედზე ხმამაღლა ღელავდა, მაგრამ მათგან კომენტარი ვერ მივიღეთ. თუმც კი **დაგვიდასტურეს,** რომ დღეს ეკლესიის წინამძღვარი თავად წყვეტს, რა უნდა აშენდეს ტაძრის ტერიტორიაზე და ის ამ გადაწყვეტილებებს ადგილობრივ ძეგლთა დაცვის სამსახურთან აღარ ათანხმებს.

### რას ვიგებთ ვიდეოდან დრანდის ტაძრის შესახებ?

თითქმის ერთსაათიან ვიდეოში დრანდის ტაძრის ცხოვრებაზე, ვეცნობით ტაძრის წინამძღვარს - მღვდელ ანდრეის, რომელიც, მისივე სიტყვებით, „გამოგზავნილია“ ამ მხარეში, რუსეთის ეკლესიის მიერ და თავის ირგვლივ იკრებს მლოცველებს – უმეტესწილად რუსებს. თუმცა მათ შორის აფხაზებიც არიან.

**„აქ ათი წლის წინ მოვხვდი პირველად. გარშემო სულ ნაგავი იყო. გზა არ არსებობდა და ჩვენც გადავწყვიტეთ, აქ ჩამოვსულიყავით და გვეშრომა. თავიდან რვანი ჩამოვედით.... ბავშვებს, ვინც აქ ჩამოდიოდნენ, უნდოდათ, ან სამხედროები გამხდარიყვნენ, ან ექიმები – მათ სურდათ, მშობლებს კი არა, მამა ანდრეის დამსგავსებოდნენ“, –** ერთ-ერთი „მშრომელის“ და მრევლის წევრი ქალის ამ მონათხრობით იწყება ფილმი.

**„ჩვენი მთავარი ძალა მშრომელები არიან, რომლებიც აფხაზეთიდან და მთელი რუსეთიდან მოდიან აქ,** – ამბობს დრანდის წინამძღვარი, – **წვიმა რომ მოდიოდა, მუხლამდე წყალი დგებოდა და სადრენაჟო სისტემა უნდა გაგვეკეთებინა“.**

შემდეგ ჰყვება, როგორ დაიწყეს ტაძრის გარშემო მიწის მოხსნა და როგორ აღმოჩნდა იქ უამრავი საფლავი. ათასამდე ნეშტი.



დრანდა გადაღების შემდეგ

**„4 წელი ვხსნიდით ამ მიწას ეკლესიის გარშემო, ვიღებდით ფრთხილად, მერე ცალკე ორი მეტრი-ორ მეტრზე ორმოს ვთხრიდით აქვე ახლოს და იქ ვმარხავდით „სკილეტიკებს“. მერე გავაკეთეთ ეს სადრენაჟო სისტემა და ეკლესიაში ნესტის პრობლემაც გადაწყდა“.**

ვიდეოში ჩანს, რომ ტაძრის ტერიტორიაზე ახალი ნაგებობები შენდება. „ეს აბაზანა-სამრეცხაოა. ეს ქალების მხარეა. იქით კაცების. აქ ტუალეტებია“.

### „დასასვენებელი ბანაკი“? - რა ჩანს „აღმშენებლობითი“ პროცესის უკან

ეს ვიდეო ნანახი ჰქონდა ისტორიის დოქტორს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს, **ლია ახალაძეს,** რომელსაც ვიდეოს შინაარსის შეფასება ვთხოვეთ.

**„ვხედავთ, რომ იქ, სადაც საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქართული საეპისკოპოსო, რუსულ-აფხაზურ სამონასტრო ცენტრს ქმნიან მაშინ, როდესაც საეკლესიო იურისდიქციით, აფხაზეთი და სამურზაყანო შედის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში და წარმოადგენს პირადად საქართველოს პატრიარქის სამწყსოს“,** – გვითხრა **ლია ახალაძემ.**

მისი ყურადღება მიიქცია მონასტერში გახსნილმა სახელოსნომ და კაფე-ბარის ტიპის დაწესებულებამ, რომელსაც ემსახურებიან მლოცველები და აღნიშნა, რომ მონასტრის ტერიტორიაზე ამ ტიპის დაწესებულების **არსებობა დაუშვებელია:**

**„მონასტრის ეზოში, თითქოს ერთ-ერთი შენობის რესტავრაცია მიმდინარეობს, სინამდვილეში ეს არის შენობის რემონტი თანამედროვე საშენი მასალებით. რესტავრაცია ნიშნავს ძველი ტაძრის, შენობის თავდაპირველი იერსახის შენარჩუნებას იმავე სამშენებლო მასალებით, მეთოდებითა და ტექნოლოგიებით, რომლითაც ის თავის დროზე აიგო. ტაძრის ირგვლივ მიდის უკანონო მშენებლობები, რომლის დროს აღმოჩნდა ეკლესიის ეზოში დასაფლავებული საეკლესიო პირებისა და აფხაზთა და ოსმალთა შემოსევების დროს, მონასტრის დაღუპულ დამცველთა ძვლები, რომლებიც ერთ სამარხში მოათავსეს, რაც კანონიკური სამართლის მიხედვით დაუშვებელია“,** – გვეუბნება **ლია ახალაძე.**

ისტორიკოსს ასევე დაუშვებლად მიაჩნია მონასტრის ეზოში ნებადაურთავი მიწის სამუშაოების წარმოება და ამბობს, რომ ამ პროცესში ნაპოვნი ნივთები უნდა გადაეცეს მუზეუმს და ისინი არქეოლოგებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, პალეოგრაფებმა და სხვა დარგის მეცნიერებმა უნდა შეისწავლონ.

**„ამ ვიდეოდან კი ჩანს, რომ დრანდის მრავალსაუკუნოვანი ქართული საეპისკოპოსო კათედრის ტაძარი და მის ირგვლივ სამონასტრო სივრცე, დღეს გადაქცეულია დასასვენებელ ბანაკად“.**

ისტორიკოსი შენიშნავს, რომ ტაძარში ღვთისმსახურების აღდგენა ტაძარს ფიზიკურად კი გადაარჩენს, მაგრამ მის გარშემო მიმდინარე სამუშაოები და ე.წ. რესტავრაციები მას თავდაპირველ სახეს უკარგავს.

### დრანდის ტაძრის ისტორია

**სოხუმიდან 18 კილომეტრში მდგარი დრანდის ეკლესია, როგორც ლია ახალაძემ გვიამბო, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და ხელოვნების ისტორიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრად მიიჩნია, რომელშიც ქართულ-ბიზანტიური ხუროთმოძღვრული ფორმები გვხვდება. ტაძარი დათარიღებულია VI-VIII საუკუნეებით. საეპისკოპოსო კათედრა იქ X საუკუნიდან არსებობდა.**

დრანდის ტაძარი რამდენჯერმე გადააკეთეს. მათ შორის, რუსეთის იმპერიამ მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ტაძრის „რესტავრაციის“ დროს მას ფორმები შეუცვალა.

მე-19 საუკუნეში, ქართველი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, **დიმიტრი ბაქრაძის** იქ მოგზაურობის დროს, ტაძარში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ფრესკული მოხატულობა, რომელიც, სავარაუდოდ, „რუსული რესტავრაციის“ დროს განადგურდა.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, არიტექტორ-რესტავრატორ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით, ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, ძეგლი გაიწმინდა და ის თავდაპირველი სახით აღადგინეს.

დრანდის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, აღიარებულია საქართველოს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად, რაც ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ძეგლზე მუშაობა, აღდგენა-რესტავრაცია, არქეოლოგიური სამუშაობის ჩატარება და ა.შ. შეუძლებელია განხორციელდეს



ანდრეი სტრუცკი და მისი მრევლი დრანდის ტაძრიდან


ლია ახალაძე

საქართველოს ოფიციალური ნებართვის გარეშე.

**„მიუხედავად ამისა, დღეს, რუსული ოკუპაციის პირობებში, ტაძარი კიდევ ერთხელ „გარემონტდა“ და გადაკეთდა, სანათლავი ემბაზი და მისი მიმდებარე ადგილები მეტლახით მოაპირკეთეს, რამაც ტაძარს დაუკარგა ავთენტურობა. ტაძარი მთლიანად, გადათეთრებულია რუსული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი თეთრი ფერით“**, – ამბობს **ლია ახალაძე.**

2006 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დრანდის ტაძარს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2011 წელს კი, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ 40-მდე ტაძარი, მათ შორის დრანდაც, ე.წ. აფხაზურ ეკლესიას უვადო სარგებლობაში გადასცა.

## „ეს უკვე დაკარგული ისტორიაა“

**„მთავარი პრობლემა როგორც დრანდის, ისე აფხაზეთში მდებარე სხვა ტაძრების შემთხვევაშიც, არის ის, რომ ყველაფერი გადადის რუსულ ყაიდაზე და ეს აფხაზეთშიც ბევრისთვის მიუღებელია“**, – უთხრა რადიო თავისუფლებას კონფლიქტოლოგმა, თანასწორობის საკითხებში საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

მისი აზრით, ტაძარი დანგრევას და ნესტს შესაძლოა ისე გადაარჩინო, რომ იერსახე არ შეუცვალო, თუმცა დრანდა, – გვეუბნება პაატა ზაქარეიშვილი, – მკაფიო მაგალითია იმისა, რომ რუსეთის ეკლესიას სურს მოსახლეობას დაუკარგოს მეხსიერება აფხაზეთის ტაძრების მიმართ და შეუქმნას განცდა, რომ ეს არის რუსული კულტურის ნაწილი.

**„რაც შეეხება ასობით საფლავის ამოთხრას და წესების დაუცველად, ნეშტების ჩაყრას ერთ ორმოში, ეს ამბავი მეც ცოტა ხნის წინ გავიგე და ნამდვილი ვანდალიზმი მგონია. არქეოლოგია ხომ იმიტომ არსებობს, რომ ასეთ დროს ხდება ძვლების პატივისცემით დალაგება, გაწმენდა, კვლევა. რამდენი რამის გაგება შეიძლებოდა ასეთ შემთხვევაში. რამდენი მასალა შეემატებოდა ისტორიას, მედიცინას, არქეოლოგიას. ეს უკვე დაკარგული ისტორიაა“.**

## რა იცის საქართველოს საპატრიარქომ და როგორია მისი პოზიცია?

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა დეკანოზმა **ანდრია ჯაღმაიძემ** გვითხრა, რომ აფხაზეთიდან მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დღეს ტაძარში სამშენებლო სამუშაოები არ მიდის, რომ ტაძარი კეთილმოეწყო (აღარ არის ტალახი და არ ჩადის წყალი), რომ მღვდელმსახურებას რუსი მღვდელი უძღვება და იქ ყოველთვის ხალხმრავლობაა.


ანდრია ჯაღმაიძე

**„სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ბერკეტი, რომ ვიმოქმედოთ. შეშვებით, ცხადია, ჩვენ იქ არ გვიშვებენ. თუ იქ დღეს მოსკოვის საპატრიარქოს სასულიერო პირი მსახურობს, ესეც დარღვევაა, რადგან ეს ტერიტორია ჩვენი იურისდიქციის ქვეშაა. რაც შეეხება საფლავებს, ძველი, უსახელო საფლავების აღმოჩენის შემთხვევაში, მათი სხვა ადგილას გადატანა და მოწესრიგება დარღვევად არ ითვლება, თუმცა, იმასაც გააჩნია, რა მდგომარეობაში იყო ეს საფლავი. თუ ასეთ დროს მოტივაცია ქართული კვალი წაშლა და გაქრობაა, ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია“.**

დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ ჩვენთან საუბარში ისიც გაიხსენა, რომ წლების წინ, როდესაც ჯერ კიდევ იმართებოდა შეხვედრები მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს შორის, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არაერთხელ დასვა ეს საკითხი – მაშინ, ამ საუბრების დროს, რუსეთის ეკლესიის არგუმენტი იყო, ჩვენ თქვენს იურისდიქციას ვცნობთ და პოლიტიკურად რომ იყოს ეს საკითხი მოგვარებული და იქ გიშვებდნენ, ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გვექნებოდა, მაგრამ რაკი თქვენ იქ ვერ შედიხართ, ხალხს ხომ სჭირდება ლოცვა, ზიარება, აღსარება, ასე ხომ არ დავტოვებთო.

**„როცა ჩვენ ვეუბნებოდით, რომ იქ თქვენი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მსახური ასრულებს წესებსო, პასუხი იყო – ეს ჩვენი კურთხევით არ ხდება, ალბათ ვიღაც თვითნებურად არის ჩასულიო. ფაქტია, დღეს დრანდის ტაძარში რუსულად მიდის მღვდელმსახურება. არ ვიცი, რამდენად მუდმივია ეს, მაგრამ პერიოდულად რომ ეს ხდება, ეს ზუსტად ვიცით“.**

დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ ასევე გვითხრა, რომ კიდევ უფრო გამოხატული პრობლემა არსებობს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, სადაც მათ გარეშე ააშენეს ახალი ეკლესია და აკურთხეს კიდეც:

**„ეს საერთოდ გაუგონარი რამ არის, როცა სხვის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე ეკლესიას აკურთხებ, მაგრამ აქაც გვიპასუხეს, ეს სამხედრო ბაზის ტერიტორიაა, ეკლესია ბაზაზე ავაშენეთო“**, – უთხრა დეკანოზმა **ანდრია ჯაღმაიძემ** რადიო თავისუფლებას.

**ეკა ქევანიშვილი,**
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

### ილიკო ფერაძე:

# „ყვავილების ქვეყანას“ ტექსტი ეკუთვნის ჩემი და გია ფერაძის მამას ბიძინა ფერაძეს


მამის პორტრეტი მხატვარი „ბუცო“ მანჯავიძე

**გოლო დღეებში ტელევიზიის გვერ არხზე, რადიოში და ინტერნეტით ვრცელდება მასალები, რომ ჩვენმა საყვარელმა სიმღერის დედოფალმა ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ, მისი მეგობრის გუგა კიკაბიძის ხსოვნას მიუძღვნა ახალი კლიპი, ძველი სიმღერის „ყვავილების ქვეყანას“ ტექსტზე. გარდა იმისა, რომ ამ უკვდავი სიმღერის ტექსტი ეკუთვნის ჩემი და გია ფერაძის მამას, ცნობილ პედაგოგს ბიძინა ფერაძეს, ამ სიმღერის შექმნასთან მეც მაქვს უშუალო კავშირი, რაზედაც მინდა საზოგადოებას მოვუთხრო 77 წლის მერე:**


დედა და ბუბა

1946 წელს ჩვენი ოჯახი ისვენებდა დაბა წყნეთში. მე გავცივდი და დედამ გამოაგზავნა მამაჩემი თბილისში სტრეპტოციდის და კარაქის საყიდლად. მაშინ, წყნეთიდან თბილისში მხოლოდ ერთი ავტობუსი დადიოდა, ხოლო პენიცილინი ჯერ კიდევ არ იყო ჩვენამდე მოსული და სტრეპტოციდის აბებიც და კარაქიც, პედაგოგის ერთი თვის ხელფასი ღირდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო. მამა მასწავლებელი იყო, ინგლისურს ასწავლიდა ბავშვებს და როგორც დღეს, მაშინაც მასწავლებლებს საკმაოდ უჭირდათ. თბილისში ჩასვლისას მამას პირველი ამოცანა იყო ფულის შოვნა. ჩამოსვლისთანავე, ვერაზე შეხვდა მისი მეგობარი, ცნობილი მოცეკვავე ჯანო ბაგრატიონი, რომელიც იმ პერიოდში აყალიბებდა საქართველოში პირველ ე.წ. „ჯანოს ჯაზის“ ორკესტრს. ჯანომ იცოდა, რომ ბიძინა წერდა ლექსებს, მათ შორის სიმღერებს. მოისმინა მეგობრის გასაჭირი და შესთავაზა: – გოგი ვასაძემ კარგი მელოდია ჩამოიტანა ქუთაისიდან და წამოდი, მოისმინე, ტექსტი არა გვაქვს. თუ ტექსტს დაწერ და მოგვეწონება, ჰონორარსაც გამოგიწერ ავანსად და ილიკოსაც ეშველება.

ჩავიდნენ გოფილექტში (ფილარმონიის ბაღში, პლეხანოვზე), მამამ მოისმინა მელოდია და იქვე დაწერა ლექსი: „ყვავილების მეუფევ“, რომელიც ბატონ ჯანოს და სხვებსაც მოეწონა. გამოუწერეს ავანსი და ხელდამშვენებული მამა ამოვიდა წყნეთში, დედას დავალება შეასრულა და თან მოაყოლა 2 ბოთლი ღვინო №8 და იმავე დღეს მეზობელთან ერთად, დედამ და მამამ პირველებმა გამოსცადეს 3 ხმაში „ყვავილების მეუფე“. არანჟირება გააკეთა კომპოზიტორმა ჩირინაშვილმა და ეს სიმღერა სცენაზე პირველად ბატონმა ჯანომ იმღერა იმავე წლის სექტემბერში, ქუთაისში გასტროლებზე და პირველსავე დღეს, მაყურებლებმა იგი 15-ჯერ ბისზე გაამეორებინეს.

ასე დაიწყო ამ სიმღერამ სვლა ქართველი კაცის გულებისკენ და მისი განსაკუთრებული პოეტური მუხტის წყალობით, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმღერა გახდა.

ტექსტზე არავინ დავობდა. მხოლოდ მუსიკაზე იყო დავა, ერთხელ, როდესაც 60-იან წლებში გამოვიდა „ორერას“ ფირფიტა და ამ ფირფიტას ეწერა: „ტექსტი ხალხური“. დედამ საჩივარი შეიტანა და „მთავლიტიდან“ აიღო ოფიციალური ცნობა, რომ: „ყვავილების ქვეყანას“ ტექსტის ავტორი არის ბიძინა ფერაძე“, ამ ცნობას სათუთად ვინახავ.

* * *

აქვე მინდა მოვიყვანო, მამას დაწერილი პირველი ტექსტი, რომელიც თავისთავად პოეზიის მშვენიერი ნიმუშია და რომლის პოეტურმა, სამიჯნურო მუხტმა ადვილად მონახა გზა ქართველების გულებისაკენ:

### „ყვავილების მეუფევ“

**ყვავილების მეუფევ, თვალნი დამიზიანე,**
**გიცდი, აღარ მოდიხარ, რატომ დაიგვიანე.**
**შენთვის დაკრეფილი მაქვს, ნარნარი ყვავილები,**
**მინდა გულზე დაგაკრა, ვით ლამაზი ღილები.**
**აი, რისთვის დაგეძებ, რატომ დავიარები**
**და რატომ მელანდება შენი გიშრის თვალები.**
**მაგრამ შენ არ გიყვარვარ, რომ აღარ მეკარები,**
**შენი თვალების ეშხი ნეტავ რად დაინანე**
**ნეტავ ახლა ვის უმზერ, მითხარი, გეთაყვანე.**
**მე მიყურე, მხოლოდ მე, მაკმარე, რაც მაწვალე**
**ჩემო გულის საუნჯევ, შენს თვალებს ვენაცვალე.**
**შენს ლოდინში წალკოტი ჩოქვით შემოვიარე**
**გიცდი და არ მოხვედი, რატომ დაიგვიანე.**
**ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე**
**რომ მითხარ, მალე მოვალ...**
**რატომ დაიგვიანე!**

მაშ ასე, მე ავად რომ არ გავმხდარიყავი, ეს სიმღერაც ალბათ სულ სხვა ტექსტით იქნებოდა და დარწმუნებული ვარ, ასეთ პოპულარობას ვერ მოიპოვებდა.


გია და ბუბა

ეს ლექსი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1946 წელს დაიწერა, როდესაც ჩემი ძმა, გია ფერაძე ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული, მაგრამ ჩვენს ოჯახში დედა და მამა სტუმრებთან ყოველთვის მღეროდნენ ამ სიმღერას და ჩვენ ფაქტიურად ამ სიმღერაზე გავიზარდეთ. მოგვიანებით კი, სამშობლოდან მოშორებით „მივლინებაში“ მყოფმა გიამ, რადიოში მოისმინა „ორერას“ რუსულად ნამღერი „ყვავილების ქვეყანა“ და რასაკვირველია, მამა გაახსენდა, ისე, როგორც მე, დღემდე სადმე რესტორანში ან რადიოში ამ სიმღერის გაგონებისას, სულ მამა მიდგას თვალწინ. გიამ იმ შორეულ ციმბირში, ასე გამოხატა მისი ემოცია.

### ჩემს საყვარელ მამას!

**ისმის შენი სიმღერა**
**იაკუტიის მიწა-წყალზე,**
**დიდი ხნის წინ რომ დაწერე,**
**ყვავილების ქვეყანაზე.**
**„ყავილების მეუფევ,**
**თვალნი დამიზიანე,**
**რომ მითხარ, მალე მოვალ,**
**რატომ დაიგვიანე“.**
**თქვენგან ეხლა რა შორსა ვარ,**
**მაგრამ მამა მიდგას თვალწინ,**
**ეს სიმღერა უკვდავია,**
**როგორც ახლა, ისე მაშინ.**
**მამა, სანამ მე ვსულდგმულობ,**
**ეს სიმღერა არ მოკვდება,**
**მე წავალ და როგორც გვარი**
**ზუსტად ისე გაგრძელდება.**
**„შენთვის დაკრეფილი მაქვს,**
**ნარნარი ყვავილები,**
**მინდა გულზე დაგაკრა,**
**ვით ლამაზი ღილები“.**
**სანამ ქვეყნად იქნება**
**ველი, მდელო, ეს ყანა,**
**იქამდე იარსებებს**
**„ყვავილების ყვეყანა“.**
**„ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე“,**
**ეხლა ვნანობ, მამიკო, კოცნა დაგიგვიანე...**
**რის თვალები, რის თავი....**
**გული დამიზიანე.**

**იაკუტია 1989**

მამა იყო უაღრესად დიდი პატრიოტი. იგი პოეტი არ ყოფილა, მაგრამ ბევრი ლექსი აქვს დაწერილი საქართველოზე, სიყვარულზე, ხოლო რამდენიმე ლექსზე დაწერილ მის სიმღერებს მღეროდნენ მაშინ პოპულარული მომღერლები.

**P. S. ეს შენიშვნა ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება ფართო საზოგადოებისთვის, მაგრამ ჩემთვის კი ძალიან ძვირფასი მოგონებაა. ბუბა იყო ჩემი სიყრმის მეგობარი, ხშირად ყოფილა ჩვენთან სახლში და ჯერ კიდევ 50-იან წლებში მოუსმენია, სუფრაზე ჩემი დედ-მამის ნამღერი „ყვავილების მეუფევ“, რაც მერე რამდენჯერმე შესანიშნავად ჩაწერა კიდევაც, სხვადასხვა ანსამბლებთან. მაშინ კი ბუბა, ჯერ კიდევ დიპლიპიტოზე უკრავდა კინოთეატრ „რუსთაველში,“ საღამოს სეანსების დაწყებამდე.**

**ტექსტს თან ვურთავ ჩვენი წასული ოჯახის სურათებს.**

**ლიკო ფერაძე,**
„უფროსი ბიძინიჩი“
(ასე მეძახიან გიას მეგობრები)

# უშველის ერდოღანს „ამერიკელი“ ჰაფიზე ხანუმი?!



**ერდოღანმა საპრეზიდენტო არჩევნები კი მოიგო, მაგრამ მას ძალიან დიდი პრობლემები აქვს დასაძლევი: თურქეთის ეკონომიკა მძიმე დღეშია. ინფლაცია მძლავრობს. გაუჩერებლად უფასურდება თურქული ლირა, რომლის შესაჩერებლად, თურქეთის ეროვნული ბანკი, მილიარდობით დოლარს ხარჯავს, თუმცა, ამაოდ. სავალუტო რეზერვები, ფაქტობრივად, ამოიწურა. ეროვნული ბანკი, უკვე, კერძო ბანკებისგან სესხულობს ფულს, მაგრამ, ასე, დიდხანს, ვერ გაგრძელდება. ეკონომიკის კრახს ექსპერტები ერდოღანს აბრალებენ. ამბობენ, რომ პრეზიდენტმა ვერ გათვალა თურქეთის შესაძლებლობები. მას საერთაშორისო არენაზე, ძლიერი მოთამაშის როლის მორგება უნდა ძალიან, მაგრამ როგორც იტყვიან, ყველაფერს საზღვარი აქვს. ხალხიც და ქვეყანაც გადაიღალა ერდოღანის გეოპოლიტიკური თამაშებით.**

ეკონომიკა მისმა პრეტენზიულმა პროექტებმაც დაამძიმა: სტამბულის ახალი აეროპორტი, ატომური ელექტროსადგურები, გიგანტური გვირაბები და სხვ. თურქულ ეკონომიკას სასწრაფო დარეგულირება ჭირდება, რასაც ერდოღანი აქამდე დაჟინებით ეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, ეროვნული ბანკის მუშაობაში ერეოდა პირდაპირ. მას ეკონომისტები აფრთხილებდნენ, მაგრამ პრეზიდენტი არავის უსმენდა. ახლა უკვე, კედელთანაა მიმწყვდეული. მოსახლეობას ლირის გაუფასურება და ფასების ზრდა აწუხებს. ერდოღანმა, ოდნავ, უკან დაიხია და რჩევებს ყური მიუგდო.

თურქეთს ძალიან ჭირდება დასავლეთის, განსაკუთრებით, სავალუტო ფონდის დახმარება და რეკომენდაციები. მათი უპირველესი რჩევაა მთავრობის ჩაურევლობა ეროვნული ბანკის მუშაობაში. ფინანსებს უნდა განკარგავდნენ სპეციალისტები. თურქეთის პრეზიდენტი დათანხმდა ამ წინადადებებს. ძალიან გაუჭირდა და დათანხმდა! მოულოდნელად, ერდოღანმა ფინანსთა მინისტრად ცნობილი ფინანსისტი და, ადრე, მის მთავრობაში ნამუშევარი მეჰმეთ-შიმშეკი დანიშნა, მაგრამ მთავარი იყო, ვინ დაიკავებდა ეროვნული ბანკის დირექტორის ადგილს. ერდოღანი არასოდეს არ ნიშნავდა ხოლმე თანამდებობაზე მისი პარტიული, ან პირადი წრისთვის უცხო ადამიანს.

ახლა კი, პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ ყველა გააოცა. მან ეროვნული ბანკის მმართველად 43 წლის ამერიკელი თურქი ქალბატონი, **ჰაფიზე-გაიეერკანი** დანიშნა. პირველი ქალი, და ყველაზე ახალგაზრდა, თურქეთის ეროვნული ბანკის დირექტორთა შორის! ჰაფიზე-ერკანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო ფინანსისტთა შორის. იგი სტამბულში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ, სწავლის გასაგრძელებლად და საცხოვრებლად, ამერიკაში გადასახლდა. პრინსტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში ისწავლა. პროფესორობასაც ადრეულ ასაკში მიაღწია. ცხრა წელი იმუშავა ცნობილ ფინანსურ ჰოლდინგში Goldman-Sachs. არაერთ ფინანსურ კომპანიას ხელმძღვანელობდა, მათ შორის, Marsh-McLennan, Barclays-Capital და სხვა.

მოკლედ, ამ დონის ფინანსისტი თურქეთის ეროვნულ ბანკს, დირექტორად, ჯერ არ ყოლია. თუმცა, ექსპერტთა აზრით, მხოლოდ პიროვნება, რაც არ უნდა დიდი იყოს ის, თურქეთის ეკონომიკას ვერ უშველის. მთავარია, ერდოღანი არ ჩაერიოს სპეციალისტების საქმეში. გარდა ამისა, საჭიროა სწორი კომუნიკაცია. მდგომარეობიდან გამოსასვლელად, უპირველეს ყოვლისა, გუნდური მუშაობაა საჭირო. ერდოღანს კი, გუნდური თამაში დიდად არ ეპიტნავება. ამ ცვლილებების მიმართ, სწორედ ამიტომ დაისადგურა სკეპტიკურმა განწყობამ, მაგრამ რადგან ერდოღანმა პირველი ნაბიჯი, როგორღაც, გადადგა, იქნებ, სხვა საკითხებშიც მოუსმინოს მრჩევლებს. ნატოს ბოლო სამიტზე ხომ მართლაც დადასტურდა მის საქციელში გარდაქმნა, ამჯერად უკვე, საერთაშორისო სარბიელზე!

# გერმანიის მმართველი ძალა მძიმე მდგომარეობაშია!

**გერმანია შიდა-პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. მმართველი კოალიციის შიგნით იმ დონის შეხლა-შემოხლაა, რომ მასმედია მის დაშლაზე ალაპარაკდა. კოალიციას ზედმეტ-სახელად „შუქნიშანი“ შეარქვეს მასში შემავალი პარტიების, სოციალ-დემოკრატების, ლიბერალებისა და მწვანეების, სიმბოლურ ფერთა გამო. თავის დროზე, კოალიცია ძლივს შეკოწიწდა პარტიებს შორის იმთავითვე არსებულ მძაფრ წინააღმდეგობათა გამო.**

მმართველი კოალიცია ძლივს უმკლავდება უკრაინის ომისა და რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციებით გამოწვეულ სიძნელეებს. კონფლიქტი პოლიტიკურ პარტნიორებს შორის დღითიდღე მწვავდება, განსაკუთრებით, ლიბერალებსა და მწვანეებს შორის, მათი მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური ხედვების გამო. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, მათ მეხამრიდის როლი მოირგეს დაშლის პირას მისულ კოალიციაში. მწვანეებსა და ლიბერალებს შორის კამათის მთავარი თემა გადასახადები და ფინანსების თავშეკავებულად ხარჯვაა. გერმანიის ფინანსთა მინისტრი და ლიბერალთა წინამძღოლი, კრისტიან ლინდნერი, რომელსაც, დღეს, გერმანიის ფინანსთა მინისტრის თანამდებობა უკავია, მომავალი წლის ბიუჯეტის შეკვეცას ითხოვს. მისი მოთხოვნა ყველასთვის გასაგებია სახელმწიფო ვალის ზრდის გამო.




გერმანიამ, პანდემიის გასამკლავებლად, ძალიან დიდი ხარჯი გასწია. უკრაინის ომთან დაკავშირებით კი, ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსური წნეხის ქვეშ მოხვდა. სწორედ, ამიტომ ითხოვს ფინანსთა მინისტრი ფულადი რესურსის ეკონომიკურ ხარჯვას. მეორე მხრივ, ასეთი ფინანსური სიმკაცრე მწვანეების მიერ გამოცხადებულ პროგრამებს დაარტყამს. მწვანეები, კოალიციის შექმნიდან, იმედოვნებდნენ გერმანიის მწვანე ენერგეტიკაზე გადასვლას. ამისთვის, ისინი სხვა ენერგორესურსებზე გადასახადის გაზრდას ითხოვენ. ლინდნერის ფინანსური ეკონომია კი, მწვანეების გეგმებს ძირს უთხრის. ხანგრძლივი დავის შემდეგ, ლიბერალებმა მაინც თავისი გაიტანეს: ფინანსთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ მომავალი წლისთვის, ბიუჯეტი, სულ მცირე, 30 მილიარდი ევროთი შეიკვეცება.

ეს მხოლოდ ჩვენი ფინანსური გაჭანსაღების დასაწყისია. სახელწიფო ისე უნდა გავათავისუფლოთ ვალებისგან, რომ ხალხი და ბიზნესი დამატებითი გადასახადებით არ დავამძიმოთო, თქვა კრისტიან ლინდნერმა. ამავე დროს, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თუ გერმანიის მთავრობა გადასახადებს არ გაზრდის, ქვეყანა რეცესიას ვერ ასცდება. გერმანელ ლიბერალებს კი, ასეთი პერსპექტივა აზიანებს, რადგან ისინი ყოველთვის გადასახადების შემცირებას ქადაგებდნენ. კოალიციის სხვა წევრები, პირიქით, გადასახადების აწევას კარნახობენ მთავრობას. მწვანეებს და სოციალ-დემოკრატებს სოციალური დახმარების გაზრდა სურთ, რაც ლინდნერის გეგმებს ეწინააღმდეგება. ქრისტიან-დემოკრატები, ანუ ოპოზიცია ამტკიცებს, რომ კოალიციის ვერცერთი წევრი დაპირებას ვერ ასრულებს.

მათ ბუნდეს-კანცლერ შოლცს პირობა ჩამოართვეს, რომ საარჩევნო დანაპირებს შეასრულებს. კანცლერს ისიც შეახსენეს, რომ გერმანიამ ნატოს წინაშე სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის ვალდებულება აიღო შიდა ბრუნვის 2 პროცენტამდე. გარდა ამისა, მთავრობა 100-მილიარდ ევროს გერმანიის სამხედრო ძალების გადაიარაღებისთვის გამოყოფს. ოპოზიციის აზრით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გეგმების შესრულება საფრთხეშია. არის ასეთი მოსაზრებაც: თუ გერმანიის მთავრობა, თავდაცვის სფეროში, ყველა პირობას დააკმაყოფილებს, მაშინ, მწვანეებისა და სოციალ-დემოკრატების გეგმების შესასრულებლად, საჭირო ფინანსები აღარ დარჩება.

ამიტომ, გერმანელი ეკონომისტები მთავრობას ზოგი გადასახადის აწევისკენ მოუწოდებენ, რადგან, ამის გარეშე, დასახული მიზნების მიღწევა გართულდება. თავად ფინანსთა მინისტრს კი, ურჩევენ ეკონომიკური ხელმომჭირნეობა დროებით დაივიწყოს.

ერთი სიტყვით, კოალიცია მძიმე მდგომარეობაშია, რომლისგანაც თავის დაღწევის მცდელობას, სავარაუდოდ, კოალიციის რომელიმე წევრის იმიჯი შეეწირება. კოალიციური მმართველობა კი, ვერაფერს კონკრეტულსა და ხელმოსაკიდს ვერ სთავაზობს ქვეყანას, ანუ, შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს გერმანიაში, ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს.

# პატარა ურუგვაის დიდი ამბიციები



**ურუგვაი ერთი პატარა ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში, სადაც მხოლოდ სამი მილიონ-სამასი ათასი ადამიანი, აქედან, ნახევარზე მეტი დედაქალაქ მონტევიდეოში ცხოვრობს. დანარჩენი ლათინურ-ამერიკული ქვეყნებისგან განსხვავებით, მოსახლეობის 90 პროცენტი ევროპული წარმოშობისაა. 1825 წელს, ესპანეთის ამ ყოფილმა კოლონიამ, მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1830 წელს, სუვერენულმა ურუგვაიმ პირველი კონსტიტუცია მიიღო, მაგრამ ქვეყანას, ხშირად, სამხედრო ხუნტა მართავდა ხოლმე.**

ასეთი ტიპის რეჟიმი, ისტორიულად, დამახასიათებელია თითქმის ყველა ლათინურ-ამერიკული ქვეყნისთვის, ანუ, დემოკრატიისა და გენერალიტეტის მონაცვლეობა. ურუგვაიმ მხოლოდ 1983 წელს მოახერხა დემოკრატიულ რელსებზე გადასვლა სტაბილურად. მრავალი ეფექტური რეფორმა გაატარა და მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად გადაიქცა. ურუგვაი დემოკრატიის, მშვიდობის, კორუფციის სიმცირის, პრესის თავისუფლების, საშუალო კლასის სიდიდის, კეთილდღეობის დონისა და უსაფრთხოების მხრივ, სხვა ლათინურ-ამერიკულ ქვეყნებზე წინაა. ქვეყანას ერთი ხუთწლიანი ვადით არჩეული პრეზიდენტი მართავს. დღეს, ურუგვაის ლიდერი, მისი 42-ე პრეზიდენტი, 50 წელს მიღწეული ლუის-ალბერტო-აპარისიო-ალეხანდრო-ლაკალიე გახლავთ.

ის ურუგვაის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ოჯახის შვილია. მათ შორის, ბევრი იყო ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ქვეყნის მეორე პრეზიდენტი დედამისის წინაპარი ყოფილა. მამამისის პაპა კი, დღევანდელი მმართველი ნაციონალური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. თავად ლუისის პაპა 20 წლის მანძილზე მართავდა ამ პარტიას. ქვეყნის პარლამენტის თავჯდომარეც იყო. ლუისის მამა ლუის-ალბერტო-ლაკალიე-დე-ერერა 1990-95 წლებში ურუგვაის პრეზიდენტი იყო. ლუისი დედაქალაქის უმდიდრეს უბანში, პოსიტოსში, იზრდებოდა. 14 წლის ასაკში, ზრდის ჰორმონის ნაკლებობა დაუდგინდა, მაგრამ ამერიკაში უმკურნალეს, რომლის წყალობით, მეტრსდა-70-სმ მიღწია სიმაღლეში. 1993 წელს, წარჩინებით დაამთავრა მონტევიდეოს პრესტიჟული ბრიტანული სკოლა და ურუგვაის კათოლიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სტუდენტობაში, ჰიპებს იყო აყოლილი, მარიხუანასაც ეწეოდა და არც კოკაინთან ყოფილა უბრად ეს ამხელა კაცის შვილი.

ამავე დროს, სერფინგითაც იყო გატაცებული, რომელიც ახლაც უყვარს. თავისუფალ დროს სულ ზღვისკენ უჭირავს, თურმე, თვალი. სწავლის დამთავრებისთანავე, წინაპრების დაარსებულ პარტიაში შევიდა, რომელიც მე-19 საუკუნიდან მოქმედებს და არასოდეს უღალატია ცენტრისტულ-კონსერვატული იდეოლოგიისთვის. ამ პარტიის წარმომადგენლები, ახლანდელი პრეზიდენტის ჩათვლით, 19-ჯერ იყვნენ ქვეყნის სათავეში. 1999 წელს, ლუის-ლაკალიე-პოუ, ნაციონალური პარტიის სიით, ქვეყნის პარლამენტის წევრად აირჩიეს. წლების განმავლობაში, პარლამენტში, რამდენიმე თანამდებობა ეკავა. პარლამენტის თავმჯდომარეც იყო. 2014 წლიდან კი, ხანგრძლივ, დაძაბულ ბრძოლას იწყებს პრეზიდენტობისთვის. პარტიამ ლუის-ლაკალიე-პოუ თავის კანდიდატად წამოაყენა, მაგრამ დამარცხდა არჩევნებში. 2005 წლიდან, ურუგვაის პარლამენტში და მთავრობაშიც მემარცხენეები ბატონობდნენ. 2015 წელს, ლუის-ლაკალიე-პოუ სენატის წევრად აირჩიეს. 2019 წელს, პარტიამ ის ისევ წამოაყენა პრეზიდენტობის კანდიდატად. მისი ოპონენტი მონტევიდეოს მემარცხენე მერი, მარტინესი იყო. ვერცერთმა კანდიდატმა, მაშინ, 50-პროცენტიანი ზღვარი ვერ გადალახა. დაინიშნა მეორე ტური. ამჯერად, ლუის-ლაკალიე-პოუმ და მისმა პარტიამ ამომრჩევლის მობილიზება შეძლეს და, 2-პროცენტიანი განსხვავებით, არჩევნები მოიგეს. ლუის-ლაკალიე-პოუს ინაუგურაცია 2020 წლის 1 მარტს გაიმართა. პრეზიდენტობის ფიცს რომ დებდა, ამომრჩეველს შეპირდა, რომ კარგი და ძლიერი პრეზიდენტი იქნებოდა. ასე თქვა, ხალხთან ერთად საქმის მკეთებელი მთავრობა ვიქნებითო. მისი პრეზიდენტობის პირველივე დღიდან, ურუგვაიში კორონავირუსის პანდემია გაჩნდა. ქვეყანაში კარანტინი გამოცხადდა.

სუპერმარკეტებისა და აფთიაქების გარდა, ყველაფერი დაიხურა, თუმცა, კარანტინი მხოლოდ ერთი თვე გაგრძელდა. პრეზიდენტის ბრძანებით, ურუგვაი მალე დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს, მაგრამ ასეთი აჩქარების გამო, ბევრი ძაგების გაძლება მოუწია. პარლამენტმა, მისი ბრძანებით, კანონების მიღების ახალი პროცედურა შეიმუშავა. კანონის მიღების ვადა 90 დღემდე შემცირდა. ლუის-ლაკალიე-პოუ, ზოგადად, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მომხრეა, მაგრამ, სახელმწიფო ვალის შესამცირებლად, მკაცრ ეკონომიაზე წავიდა. ინვესტიციების მოსაზიდად, საგადასახადო პოლიტიკაც გაამარტივა. 2021 წლის სექტემბერში, მონტევიდეო საპროტესტო ტალღამ მოიცვა. დემონსტრანტები სამი დიდი სახელმწიფო კომპანიის პრივატიზაციას აპროტესტებდნენ: მონტევიდეოს ნავსადგურის, ქვეყნის მთავარი ტელეკომუნიკაციისა და ნავთობის კომპანიების. ურუგვაის მუშათა კლასი შიშობს, რომ პრივატიზაციის შემდეგ, ახალი მფლობელები სამუშაო ადგილებს შეკვეცავენ, მაგრამ მთავრობამ ამ კომპანიების გაყიდვის საკითხი მაინც დაამტკიცა. ლუის-ლაკალიე-პოუმ ურუგვაის საგარეო პოლიტიკაც შეცვალა...

**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# პროსტიტუციის ისტორია

**აღსანიშნავია, რომ რომაული სამართლის კლასიკური განმარტება პროსტიტუტ ქალს (მეძავს), ანუ „Mulier quaeturia-ს, თავისუფალ სქესობრივ ურთიერთობათა სხვა წარმომადგენლებისგან – „concubina“-სგან, „pelex“-სგან, „amica“-სგან თუ „delicata“-სგან, მკვეთრად განასხვავებს.**

კერძოდ, „concubina“ ან „focaria“ – ეს იყო ქალი, უცოლო კაცთან თანამცხოვრები, რომელსაც ყველა ურთიერთობაში ცოლის ადგილი ეკავა, ამდენად მას მხოლოდ შეუღლების იურიდიული ხელშეკრულება აკლდა. „Pelex“ იყო ცოლიანი მამაკაცის ხარჭა და ამ მხრივ კონკუბინატზე გაცილებით ნაკლები პატივისცემით სარგებლობდა. დაბოლოს, მეძავისგან ასხვავებდნენ ასევე თავაზიან ქალს – „amica“-ს ანუ „delicata“-ს, რომელსაც სქესობრივი ურთიერთობები ჰქონდა რჩეულ რამდენიმე მამაკაცთან

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ კათოლიკური ეკლესიის მამები, კანონიკური სამართლის მცოდნეები, რომლებიც წმ. იერონიმუსის ცნობილ გამოთქმას **„მეძავია ქალი, რომელიც მრავალი მამაკაცის ვნებას ჰყვება“,** განმარტება „მრავალი მამაკაცის“ გამო ცხარედ კამათობდნენ. თეოლოგები და იურისტები ამის გამო ერთობ უცნაურ საკითხზე დაობდნენ: ზოგს მიაჩნდა, რომ ქალი პროსტიტუტად რომ იწოდებოდეს, მას უნდა ჰყოლოდა არანაკლებ 40 მამაკაცისა, სხვათა აზრით, მათი რიცხვი აუცილებლად 60-ზე მეტი უნდა ყოფილიყო. მათ გარდა იყო კიდევ ერთი, რომელიც პროსტიტუციის ფაქტის დასადასტურებულად 23 ათასზე მეტი მუშტრის არსებობას ითხოვდა(!). იყვნენ ისეთებიც, ვინც მეძავობის ფაქტს აღიარებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქალი ერთჯერადად იქნებოდა სამ სხვადასხვა მამაკაცთან, ხოლო ფულადი გასამრჯელოს მიღება ერთი და იგივე მამაკაცისგან სამჯერ, მეძავობად არ უნდა მიჩნეულიყო.

ქრისტიანული სწავლების თანახმად, პროსტიტუცია არის მხოლოდ გარყვნილების ცნობილი ფორმა, ანუ ქორწინების მიღმა სქესობრივი ურთიერთობები, ხოლო რომაული სამართალი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისგან პროსტიტუციას ქორწინების ინსტიტუტის გარეშე სექსუალური ურთიერთობების სხვა ფორმებისგან და სამარცხვინოდ მხოლოდ მას მიიჩნევდა.

ამასთან, დოქტორი ი. ბლოხი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროსტიტუციის რომაული, კანონიკური და კიდევ გერმანული სამართლის განმარტების არსებობის მიუხედავად, იურისტები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ცნება „პროსტიტუციის“ ზუსტ განმარტებას, ანდა მის ახსნას თანამედროვე იურისპრუდენციისა და სოციოლოგიის თვალთახედვით. თუმცა, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან საყოველთაო აზრით, **ესაა სიხლის სამართლის ერთ-ერთი ურთულესი საკითხი, რომელსაც უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს,** მაგალითად, ერთი ცნობილი გერმანელი იურისტის განცხადებით, „არ არსებობს სხვა საზოგადოებრივი განმარტება, რომელშიც ასე ნაკლებად ვიყოთ დარწმუნებული“, ხოლო მეორის აზრით, პროსტიტუციის იურიდიული განმარტება სულაც შეუძლებელია.

## პროსტიტუციის პირველადი ფესვები

**თავისი მოწყობითა და გამოვლინების საზოგადოებრივი ფორმებით, თანამედროვე პროსტიტუცია, ზოგადად, ძველი დროის კლასიკურ გადმონაშთს წარმოადგენს, თუმცა კი ფესვებით, იგი კაცობრიობის პირველყოფილ დროს აღწევს. სამყაროს ისტორია და შედარებითი ეთნოლოგია, მეძავობის უმარტივესი ფესვების გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევიან, რომლებითაც ის ყველგან და ყველა დროში იკვებებოდა, და რომელთა გარეშე ვერც ვერასდროს წარმოიშვებოდა, რადგან ისინი მის სიღრმისეულ არსს წარმოადგენენ.**



პროსტიტუცია ძველ ბაბილონში (ტაძრის ბარელიეფი)

უმაღლესი კულტურის, სწრაფად პროგრესირებადი ცივილიზაციისა და ამ კულტურის მატარებელ ცალკეულ პიროვნებათა სულიერი ზრდის პარალელურად, **მეძავობა პირველყოფილი კაცობრიობის არქაულ-პრიმიტიულ მოვლენას წარმოადგენს, რომელშიც ნათლად შეიმჩნევა პირველყოფილი ინსტინქტის განსაკუთრებული ზეგავლენა.**

ადამიანის უძველესი ისტორია მხოლოდ მწირ ცნობებს შეიცავს პირველყოფილი სქესობრივი ცხოვრების შესახებ, რომელშიც პროსტიტუციის ფესვები ძევს და რომლის უკანასკნელ გადმონაშთს ის წარმოადგენს. ამ მხრივ არსებულ ცოდნას ჩვენ **შედარებით ეთნოლოგიას** უნდა ვუმადლოდეთ, რომლის შეს-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83



**არსებობს მოსაზრება, რომ თანამედროვე პროსტიტუციის საყოველთაოდ გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი, მსოფლიოში მძვინვარე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული პრობლემებია.**

**მე-20 საუკუნეში ელექტრონული ტექნოლოგიების გავრცელებისა და გლობალიზაციის პროცესის მომძლავრების ფონზე, მოხდა სექსუალური მომსახურების, ასევე სექს-მუშაკის როგორც პროფესიის კიდევ უფრო მეტად დამკვიდრება, რომლის წარმომადგენლები ჩართულნი არიან როგორც ჩვეულებრივ, ისე ვირტუალურ მეძავობაში – მაგალითად, სექსი ტელეფონით თუ ინტერნეტით, ათასნაირი გასართობი სექს-შოუები და სხვა.**

წავლის ობიექტს როგორც კულტურული, ასევე პირველყოფილი ხალხები წარმოადგენენ.

**თავის პირველ წამოწყებაში, რომელთა შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, ადამიანი ჯერ კიდევ მოქმედებდა როგორც მხოლოდ ინსტინქტს დაქვემდებარებული არსება, რა დროსაც არ არსებობდა არავითარი დაყოფა ფიზიკურ და სულიერ ლტოლვებს შორის. ორ სქესს ერთმანეთთან მხოლოდ ცხოველური აძუება აერთებდა,** რომელიც პერიოდულად ერთი ურდოს თუ ჯოგის ფარგლებში ხდებოდა (ვინაიდან ადამიანი ჯოგური არსება იყო) და, იმის გამო, რომ სულიერი მდგენელი იმ დროს არ არსებობდა, **სქესობრივი პრომისქუიტეტის (ანუ სქესობრივ ურთიერთობათა სრული შეუზღუდავობის)** არსებობა პირველყოფილი ურდოს ფარგლებში, ეჭვს არ იწვევს.

ქვის ხანის ადამიანის შესახებ სამსჯელოდ მეცნიერებას გააჩნია გარკვეული საფუძველი, რადგან ის უკვე გამოვლილია გარკვეული სულიერ განვითარებას, რის შედეგადაც მის სქესობრივ ცხოვრებაში დანამდვილებით მოხდა ფიზიკურ და სულიერ ლტოლვებს შორის ერთგვარი გამიჯვნა.

საგულისხმოა, **ქვის ხანის ადამიანის მისწრაფება თვალში საცემი და ჭრელი საგნების მიმართ, რომელთაც იგი მოსართავად და, შესაბამისად, საპირისპირო სქესის მოსაზიდად იყენებდა.** ასეთები იყო, მაგალითად, წითელი და ყვითელი ოხრით სხეულის მოხატვა, რომელიც უნდა მივიჩნიოთ იმ დიდი როლის წინაპირობად, რომელსაც ჩვენს დროშიც წითელი ფერი კაცობრიობის სქესობრივ ცხოვრებაში ასრულებს. ამის ნათელ მაგალითს მეძავეთა მიერ ფერუმარილის გამუდმებით მოხმარება, ანდა თმების ფერის გაღიავება წარმოადგენს. გამყინვარების პერიოდის მამაკაცებს მოსწონდათ წითელი თიხით სხეულშეღებილი ქალები, რის ნიშნებიც იმ ხანის ნაპოვნ ქალთა სხვადასხვა ზომის პრიმიტიულ ქანდაკებებს აქვს შემორჩენილი, თუმცა სამოსელის ტარების კულურის გავრცელებასთან ერთად, საღებავის ხმარება მხოლოდ სახეზე დაიწყეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალის სხეულის იდეალს იმ დროს ტანსრული, სავსე მკერდისა და დიდი გავის მქონენი შეესაბამებოდნენ.

მეოთხეული ეპოქის პრიმიტიულ ხელოვნებაში ქალის სქესობრივი ნიშნების, განსაკუთრებით სასქესო ორგანოების მკვეთრად წარმოჩენა, უდავოდ ბუნებრივი მოტივების არსებობითაა განპირობებული და სრულიად არაფერი არა აქვს საერთო გაცილებით გვიან წარმოშობილ **ფალოსის** კულტთან. პირველყოფილი ადამიანი, როგორც ბუნების შვილი, არ იცნობს „სხეულის იდუმალ ნაწილებს“: **მამაკაცი და ქალი საკუთარ თავს ბავშვების მწარმოებლებად თვლიან, ამდენად სიცოცხლის მწარმოებელ ორგანოებსაც სავსებით უშუალოდ აღიქვამენ.**

კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ **თავისუფალი სქესობრივი ცხოვრება ყველგან უსწრებდა ანდა თანაარსებობდა შეუღლების ინსტიტუტთან და რომ სწორედ მისი მეშვეობით კმაყოფილდებოდა პრიმიტიული სქესობრივი ინსტინქტი, რომელსაც ის თრგუნავდა.** დროთა განმავლობაში, კულტურული და რელიგიური ელემენტების ზეგავლენის შედეგად, სქესობრივი ცხოვრების არათავისუფალი ფორმების დამკვიდრებასთან ერთად, სქესობრივი ინსტინქტი საერთოდაც უკან იხევს პირველი ადგილიდან, ვინაიდან პირველყოფილი ადამიანებისთვის მთავარი, უკვე სოციალური ხასიათის სხვა, უწინარესად, ეკონომიკური მიზეზები ხდება.

ეჭვგარეშეა, რომ **სირცხვილი**, როგორც შეძენილი თვისება, არასდროს უშლიდა ხელს პრომისქუიტეტის და, ზოგადად, თავისუფალ სქესობრივ ურთიერთობებს. **სქესობრივი მითხოვნილების დაკმაყოფილება, თავდაპირველად ყოველგვარი მორიდების გარეშე, წყურვილისა და შიმშილის გრძნობების დაკმაყოფილების მსგავსად ხდებოდა,** რასაც, კერძოდ, სქესობრივ აქტის საჯაროობის ფაქტები ადასტურებს, რადგან ამას არც ცრურწმენები, არც რელიგიური მიზეზები არ კრძალავდნენ (განაყოფიერების ჯადო).

პროსტიტუციის წარმოშობის კიდევ ერთი მიზეზი ეგრეთ წოდებული **„მამაკაცთა კავშირების“** თუ **„მამაკაცთა სახლების“** დამკვიდრება იყო, სადაც მრავალი პირველყოფილი საზოგადოების ახალგაზრდა მამაკაცებთან გასათხოვარი, დაქვრივებული, მიტოვებული, და, ზოგჯერ, (მაგალითად, დღესასწაულების, ან გარკვეულ დათქმულ დროს) გათხოვილი ქალებიც მიდიოდნენ სექსუალური ურთიერთობის დასამყარებლად, თანაც არა რომელიმე ერთ პარტნიორთან. ქვრივები ან მიტოვებული ქალები ხშირად ხდებოდნენ მამაკაცთა სახლების მკვიდრთა საკუთრება, რომელთა მომსახურებით სარგებლობდნენ ასევე სხვა უცხოტომელი მამაკაცები, რაც შეიძლება განხილულ იქნას, **როგორც სტუმართმოყვარეობის მიზნით გაწეული პროსტიტუცია.**

დოქტორ ივან ბლოხის აზრით, **რელიგიურ და სქესობრივ შეგრძნებებს შორის არსებობს სიღრმისეული კავშირი: ორივეს ბუნდოვანი გულის გადალევა წარმოადგენს, რომელიც არანაირ ინდივიდუალიზაციას არ ექვემდებარება.** სწორედ ამიტომ იყო, რომ პირველყოფილ ხალხებში სქესობრივი



უძველესი ეგვიპტური ამულეტები (ძვ. წ. აღ. IV საუკუნე).

ცხოვრება არანაირ უწმინდურობას, არანაირ ცოდვას არ წარმოადგენდა, პირიქით – ისინი მას არამარტო წყლისა და საკვების სურვილის მსგავსად, არამედ უფრო აღმატებულ, კეთილშობილურ, კარგ და ღმერთების მაამებელ ქმედებად მიიჩნევდნენ. ამიტომაც, **ჩვენი თანამედროვე შეხედულებების საპირისპიროდ, თავისუფალ სქესობრივ ცხოვრებას მიყოლილ ქალიშვილს საზოგადოებაში არათუ არ კიცხავდნენ, არამედ განსაკუთრებულ პატივსაც კი მიაგებენ, როგორც პირველყოფილი ღმერთების მსახურს.** ზოგიერთ ხალხში კი ღმერთების სადიდებლად სქესობრივი ინსტინქტის გამჟღავნება სულაც უმაღლესი არისტოკრატიის პრივილეგია იყო. მაგალითად, ძველ ინდურ ეპოსში „მაჰაბ-ჰარატაში“, მეფე იაიაატი ამის თაობაზე ამბობს: „მამაკაცი, რომელსაც თხოვნით **(სქესობრივი ურთიერთობის თაობაზე – ო. ტ.)** მიმართავს მოწიფული ქალი, თუკი ის არ ასრულებს მის თხოვნას, ჩასასახი არსების მკვლელს უწოდებდნენ“. ამდენად, თავისუფალი სიყვარული ამ შემთხვევაში მიჩნეულია არა უფლებად, არამედ წმინდა მოვალეობად. ასეთი წესი ინდოეთის უმდაბლეს კასტებში დღესდღეობითაცაა შემორჩენილი და თუკი ქორწინებასა და თავისუფალ სქესობრივ ურთიერთობებს შორის, ქალიშვილი ამ უკანასკნელს ირჩევს, მას შემდგომ არაერთხელ ფიქტიურად „ათხოვებენ“ წარმოსახვით ღვთაებაზე. ამასთან დაკავშირებით, **განაყოფიერება განიხილება როგორც წმიდა აქტი, რომელსაც ღვთიურ ქმედებად აღიქვამენ,** რასაც თუნდაც სქესობრივი აქტის გაშლილ ადგილას, მინდორში ჩატარება მოწმობს, რომ, ზოგიერთი რწმენით, მცენარეთა ზრდას უწყობს ხელს.

**ამავე რიგისაა სასქესო ორგანოთა, როგორც ღვთაებრივი სიმბოლოების თაყვანისცემაც, ეგრეთ წოდებული ფალოსის კულტი, რომელიც დედამიწის ყველა მხარეშია გავრცელებული და რომელმაც მრავალ საოცარ წეს-ჩვეულებას მისცა დასაბამი, რომელთაგან არაერთი დღემდეა შემორჩენილი...** ის ფაქტი, რომ ხელოვნური სასქესო ორგანოები წარმოადგენენ ღვთაებებს და რომ მათ იყენებდნენ, მაგალითად, ქალიშვილების დეფლორირებისთვის, ნათლად მოწმობს სქესობრივ ცხოვრებაზე წარმოდგენის სარწმუნოებრიობას.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

(გაგრძელება იქნება)

ძალა ერთობაშია!




# ლეგენდარული ბრენდი და ქართული რაგბი ერთიანდებიან - რაგბი ჩვენი თამაშია, „ბორჯომი" ჩვენი წყალია...

**მინერალური წყალი „ბორჯომი" რაგბის კავშირის გენერალური სპონსორი გახდა.** მემორანდუმს „IDS ბორჯომი საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა ივანე მაჭავარიანმა და რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** ხელი გუშინ მოაწერეს.

**ივანე მაჭავარიანი: „მინერალური წყალი „ბორჯომი" 130 წელზე მეტია ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი და მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია. საქართველოს სპორტულ ტრადიციას წარადგენენ საერთაშორისო ასპარეზზე ბორჯღალოსნებიც. უნიკალური მინერალური შემადგენლობიდან გამომდინარე, „ბორჯომი" ენერგიის აღმდგენი ბუნებრივი საშუალებაა, და, ასევე ბუნებრივია, რომ ის წლებია ქართული სპორტის გვერდით დგას".**

მემორანდუმის თანახმად, „ბორჯომი" ბორჯღალოსანთა და ყველა ასაკობრივი ეროვნული ნაკრების (20 წლამდე, 18 წლამდე, შვიდკაცა, შვიდქალა) გენერალური სპონსორი გახდა, და, ასევე, პირველი პროფესიული ფრენჩაიზის „შავი ლომის" ოფიციალური მინერალური წყალია.

**იოსებ ტყემალაძე: „შავი ლომი" პირველი ქართული კლუბია, რომელიც ევროპის უმაღლესი დონის ტურნირში, ჩელენჯ თასზე მიიწვიეს; უმსხვილეს სტადიონებზე ევროპაშიც და საქართველოშიც, უკვე წელს, ის საკლუბო რაგბის უდიდეს ვარსკვლავებს შეხვდება, ხოლო ბორჯღალოსნები მსოფლიო ჩემპიონატზე წარდგებიან, – მნიშვნელოვანია, რომ ლეგენდარული „ბორჯომი" ჩვენი „შავი ლომების" გვერდში იდგება და ორივე ერთად საქართველოს გამარჯვებისთვის იბრძოლებენ".**

ბორჯღალოსნები 2023 წლის საფრანგეთის მსოფლიო თასისთვის ემზადებიან, რომელიც 8 სექტემბერს იწყება და 28 ოქტომბრამდე გაგრძელდება. საქართველო გ ჯგუფში უელსის, ავსტრალიის, ფიჯისა და პორტუგალიის წინააღმდეგ ითამაშებს. მანამდე ჩვენს გუნდს გასახურებელი თამაშები ელის – თბილისში 12 აგვისტოს რუმინეთთან და 19 აგვისტოს აშშ-სთან, აგრეთვე 26 აგვისტოს ედინბურგში შოტლანდიასთან.

„შავი ლომი" დეკემბრიდან პირველად ჩაერთვება ჩელენჯ თასის გათამაშებაში. გუნდს ჯერ რაგბი ევროპის სუპერთასი ელის, სადაც ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებას ეცდება, მერე კი თბილისში „გლოსთერსა" და „კლერმონს" დაუხვდება, „კასტრსა" და „სქარლეთსს" კი სტუმრად ეთამაშება.

მიღწეული შეთანხმებით, „ბორჯომი" სამცხე-ჯავახეთში რაგბის განვითარებასაც შეუწყობს ხელს: რეგიონის გუნდებს „ბორჯომსა" და ასპინძის „ტაოს" სავარჯიშო ბაზების განახლებაში, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და რაგბის პოპულარიზაციაში დაეხმარება.

მოვლენის შემდეგ

# ჯოკოვიჩი: „არ მეგონა, ალკარასთან ბალახზეც თუ გამიჭირდებოდა, მან მოგება დაიმსახურა"

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა უიმბლდონის ფინალში კარლოს ალკარასთან მარცხის შემდეგ კომენტარი გააკეთა.** როგორც მან თქვა, მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა და არ ელოდა, რომ ბალახის საფარზეც ალკარასი ასე კარგად ითამაშებდა.

**„რთულია მარცხის გადატანა, როცა ასე ძალიან ახლოს ხარ გამარჯვებასთან. ყოველდღე ვმუშაობთ, რომ ყველაზე დიდ სცენებზე ვითამაშოთ, უდიდეს კორტებზე და ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირებზე. ჩემი კარიერის განმავლობაში უამრავი წარმოუდგენელი მატჩი მქონდა, ნამდვილად მადლიერი ვარ ამის გამო. დღეს უბრალოდ უკეთეს ჩოგბურთელთან დავმარცხდი და მჯერა, რომ უფრო ძლიერი დავბრუნდები. სასიამოვნოა ჩემი შვილის აქ დანახვა, ის ჯერ კიდევ იღიმის. მიყვარხარ, მადლობა მხარში დგომისთვის.**

**კარლოსი უნდა შევაქო, ის ნამდვილად იმსახურებდა გამარჯვებას, გასაოცარია. მეგონა, რომ მასთან მხოლოდ თიხაზე და ჰარდზე გამიჭირდებოდა, მაგრამ ბალახზეც შემიქმნა პრობლემები. ვულოცავ მას და მთლიანად მის გუნდს. რაც შემეხება მე, არასდროსაა წაგება სასიამოვნო, აქ ბევრი დაძაბული შეხვედრა მოვიგე, მაგალითად 2019 წელს როჯერის წინააღმდეგ. შესაძლოა რამდენიმე ფინალი უნდა წამეგო, რომელიც მოვიგე",** – თქვა ჯოკოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩს უიმბლდონი შვიდჯერ აქვს მოგებული, მაგრამ მერვედ ამის გაკეთება ვერ მოახერხა, ხოლო ალკარასი ამ ტიტულს პირველად დაეუფლა.



# საფეხბურთო მოზაიკა

**ზაფხულში ჩატარებული პირველი ორი ამხანაგური მატჩის შემდეგ „მეცი" შეკრებას სამთო კურორტ ვიტელში გააგრძელებს, გუნდთან ერთად კი გიორგი მიქაუტაძე ვარჯიშობს.**

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ესწრებოდა „ლუქსემბურგ რასინგთან" (3:0) შეხვედრას და პირველად „სერენთან" (2:1) ითამაშა და თავის ყოფილ კლუბს გოლიც გაუტანა, საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ვიტელში კი ლასლო ბოლონის გაწვრთნილებთან ერთად 25 ივლისამდე მოემზადება. ქართველის გუნდი პირველად 22 ივლისს ითამაშებს „ტრუასთან", სამი დღის შემდეგ კი „სოშოს" დაუპირისპირდება. შემდეგ შეკრებაზე „მეცი" კიდევ ორ მატჩს გამართავს – „ამიენთან" და „ჰერენვენთან".

კლუბის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, გუნდის რუმინელი მწვრთნელი მიქაუტაძის კონკურენტს, ლენი ჯოზეფს შეელია. შესაძლოა, ეს იყოს ნიშანი, რომ მიქაუტაძე კლუბში რჩება, რადგან პრემიერლიგაში დაწინაურებულ „ბარნლისთან" მისი ტრანსფერი ჩაიშალა.

**„დღეს „მეცი" სატრანსფერო ბაზარზე აქტიურია. კლუბს თავდამსხმელი ლენი ჯოზეფი დატოვებს და ლიგა 2-ის „გრენობლს" შეუერთდება. ფრანგული ფეხბურთის ელიტაში კლუბის აღზევების შემდეგ სატრანსფერო ბაზარზე „მეცის" ქართველი თავდამსხმელის, გიორგი მიქაუტაძის გაყიდვა იქცევს ყურადღებას.**

**გუნდი შეელია ლენი ჯოზეფს, რომელიც კარიერას ლიგა 2-ის „გრენობლში" გააგრძელებს. 22 წლის ჰაიტელ თავდამსხმელს გასულ სეზონში სათამაშო დრო არ ჰქონდა – გუნდისა და ლიგა 2-ის საუკეთესო ბომბარდირმა ეს პერიოდი ჩინებული მიქაუტაძის ჩრდილში გაატარა",** – წერს Ouest-france.

Socios-fcmetz კი ამტკიცებს, რომ ქართველი თავდამსხმელი კლუბს აღარ დატოვებს: **„როდესაც „ბარნლიმ", რომელიც ახალი სეზონიდან პრემიერლიგაში ითამაშებს, „მეცს" 15 მილიონი ევრო შესთავაზა მიქაუტაძის ტრანსფერში, ცნობილი გახდა, რომ ინგლისურმა გუნდმა ვინსენტ კომპანის მეთაურობით მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარი თქვა. ქართველით კვლავ ბევრი ევროპული გუნდი ინტერესდება და „მეცს" ჯერ კიდევ საკმარისად ჰყავს პოტენციური კლიენტები, რათა გაყიდოს თავისი ცენტრალური თავდამსხმელი. ამით კლუბს შეუძლია, ბიუჯეტი 20 მილიონი ევროთი გაიმდიდროს, მაგრამ ჩვენ გვესმის – ამ ზაფხულს მიქაუტაძის გაყიდვა გამორიცხულია!"**

* * *

**TELELOMBARDIA-ს ჟურნალისტმა ფაბიო რავეცანიმ განაცხადა, რომ აურელიო დე ლაურენტისს გაუმართლა, რომ ხვიჩა კვარაცხელიასა და ვიქტორ ოსიმენის შეძენა მოახერხა.**

თუმცა, ცნობილი ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ მსგავსი ტრანსფერების გაჩარხვა ყოველ წელს შეუძლებელია.

**„დე ლაურენტისი? სკეპტიკურად ვარ განწყობილი. ისეთი ფანტასტიკური ტრანსფერები, როგორებიცაა კვარას და ოსიმენის შეძენა, ყოველ წელს არ ხდება. ამიტომ საჭიროა არა მხოლოდ კარგად იმუშაო, არამედ იღბალიც",** – თქვა რავეცანიმ.

ამასობაში ხვიჩა კვარაცხელიამ „ნაპოლიში" წინასასეზონო გეგმური სამედიცინო შემოწმება გაიარა და ვარჯიშს დაიწყებს. როგორც ნეაპოლიტანური კლუბის ვებ-გვერდი წერს, სტანისლავ ლობოტკამ, ვიქტორ ოსიმენმა, ამირ რაჰმანიმ, ელიფ ელმასმა, ალექს მერეტმა, ლეო ოსტიგორმა, პიოტრ ჟელინსკიმ, ჯაკომო რასპადორიმ და ცხადია, კვარამ სამედიცინო შემოწმება გაიარეს.

მათ დიმაროს ბაზაზე შეკრებილი გულშემატკივრებიც ოვაციებით დახვდნენ. ეს ფეხბურთელები გუნდთან ერთად დღეიდან ივარჯიშებენ. „ნაპოლი" პრესეზონზე პირველ ამხანაგურ მატჩს „ანაუნესთან" ჩაატარებს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართველმა მასში მონაწილეობა მიიღოს. იგი უფრო დიდი ალბათობით, 24 ივლისს, „სპალის" წინააღმდეგ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი" სერია A-ს პირველ ტურში 19 აგვისტოს გიორგი კვერნაძის „ფროზინონეს" სტუმრად დაუპირისპირდება.

* * *

**სტამბოლის „გალათასარაის" ფეხბურთელმა ნიკოლო ძანიოლომ გრაცის „შტურმთან" ამხანაგურ შეხვედრაში უმძიმესი ტრავმა მიიღო.**

იტალიელი ფეხბურთელი ერთ-ერთ ეპიზოდში მინდორზე დაეცა, რის შედეგადაც თითი დაიზიანა. კადრებიდან ძალიან კარგად ჩანს მისი თითის მდგომარეობა. „გალათასარაის" შემტევმა მაშინვე ექიმების ჩარევა მოითხოვა და ტკივილისგან ყვიროდა. სამედიცინო გამოკვლევა დაადგენს დაზიანების ხარისხს და იმ პერიოდს, რომლის გამოც ძანიოლო მოედანზე ვერ გავა. აქვე გეტყვით, რომ „შტურმმა" თურქული კლუბი 2:0 დაამარცხა, ოთარ კიტეიშვილმა კი პირველი ტაიმი ითამაშა.



* * *

**სამხრეთკორეული მედიის ინფორმაციით, საქართველოს ნაკრებისა და „კარლსრუეს" ფორვარდის, ბუდუ ზივზივაძის გადაბირებით დაინტერესებული კლუბი „ჩონბუკია".**

კონკრეტული დეტალები უცნობია, მაგრამ „ჩონბუკი" კორეაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, ამჟამად კი სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა. შარშან თორნიკე ოქრიაშვილის ტრანსფერიც დადასტურდა ამ კლუბში, თუმცა, ორ კვირაში გაირკვა, რომ ქართველმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა.

ასე რომ, დიდი შანსია სამხრეთ კორეის ჩემპიონატში ვაკო ყაზაიშვილსა და ბექა მიქელთაძეს ზივზივაძეც შეუერთდეს. შეგახსენებთ, რომ ბუდუ ზივზივაძე „კარლსრუეს" მიმდინარე წლის იანვარში შეუერთდა, მაგრამ ტრავმის გამო ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. მან გასულ სეზონში 10 შეხვედრაში ითამაშა და 1 გოლი გაიტანა. კონტრაქტი ბუდუსა და „კარლსრუეს" შორის 2025 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

* * *

**მიუნხენის „ბაიერნი" ქართველ ფეხბურთელს ლუკა პარკაძეს, რომელიც ცოტა ხნის წინათ საკუთარ აკადემიაში დაიმატა, ავსტრიულ „ადმირაში" გაანათხოვრებს.**

Laola11 იტყობინება, რომ ეს ინფორმაცია კლუბის მთავარმა მწვრთნელმა თომას პრატლმაც დაადასტურა. 18 წლის ფეხბურთელი ახლოსაა ავსტრიაში ერთწლიანი იჯარით გადაბარგებასთან. აღსანიშნავია, რომ „ადმირა" ამჟამად ავსტრიის რანგით მეორე დივიზიონში გამოდის და ბუნდესლიგაში დაწინაურება აქვს მიზნად დასახული.

ლუკა პარკაძე „დინამო თბილისის" აკადემიის აღზრდილია, მცირე ხნით კი „გაგრაში" თამაშობდა. ის ამჟამად საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრია.

* * *

**„პარმას" ვეტერანი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი კარიერას ასრულებს. Sky Sport-ის ინფორმაციით, 45 წლის ფეხბურთელმა საუდის არაბეთში გადაბარგებაზე უარი თქვა და თამაშს თავს ანებებს. წესით, ინფორმაცია უახლოეს დღეებში დადასტურდება.**

ბუფონს, რომელსაც „პარმასთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წელი აკავშირებს, საუდის არაბეთში ორწლიან კონტრაქტს და 30 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, მაგრამ აზიაში გადაბარგება მის გეგმებში არ შედის. ჯიჯი კარიერის დასრულების შემდეგ „პარმას" მენეჯმენტში დაიწყებს მუშაობას. ლეგენდარულმა მეკარემ კარიერა ჯერ კიდევ 28 წლის წინათ, 1995 წელს დაიწყო „პარმას" შემადგენლობაში. მან კარიერის უდიდესი ნაწილი და საუკეთესო პერიოდი „იუვენტუსში" გაატარა, სადაც 19 სეზონის განმავლობაში 685 თამაში ჩაატარა. ჯიჯის იტალიის ნაკრებში 176-ჯერ უთამაშია, რაც ასევე რეკორდია.

ასე რომ, უბერებელი ჯანლუიჯი ბუფონის 28-წლიანი პროფესიონალური კარიერა სრულდება.




# დებატები უკეთესი განათლებისთვის – ქართველები ფორუმის გამარჯვებულები

**5-11 ივლისს პრაღაში დებატების საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი ჩატარდა, რომელშიც ქართულმა დელეგაციამ სრული დაფინანსებით მიიღო მონაწილეობა. დებატების საერთაშორისო ფორუმში 200-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორიცაა იაპონია, ისრაელი, ავსტრია, ფინეთი, ლატვია, უკრაინა, ესტონეთი, იტალია, ესპანეთი, სლოვენია, ჩეხეთი და სხვა.**

ფორუმის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც ქართულმა დელეგაციამ მოიპოვა გამარჯვება ისრაელის და ესპანეთის გუნდებთან. გარდა ამისა, ფორუმზე ჩაატარა ტრენინგი საგანგებოდ მოწვეულმა ქართველმა საერთაშორისო ტრენერმა და მსაჯმა, ქეთევან მაღრაძემ. ქართველმა ტრენერმა, საერთაშორისო ტურნირსაც აქტიურად უმსაჯა.

პროექტი „დებატები უკეთესი განათლებისთვის", რომელიც მხარდაჭერილია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ, მიზნად ისახავს მოსწავლეებში თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქალაქის უნარების განვითარებას და ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, როგორიცაა: კონსტრუქციული მსჯელობა, არგუმენტაცია, მასალების მოძიება, ორატორობა, გუნდურობა, დროის მართვა, ოპონენტის პატივისცემა და სხვა.

# ექვს თვეში საქართველოსთვის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა სომხეთი იყო, ყველაზე დიდი იმპორტიორი კი, თურქეთი

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.6 პროცენტი შეადგინა.**

საქსტატის ცნობით, უმსხვილესი საექსპორტო სამეულში პირველ ადგილს 440.0 მლნ. აშშ დოლარით სომხეთი იკავებს, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი – 413.3 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე რუსეთი – 343.9 მლნ. აშშ დოლარით. რაც შეეხება იმპორტს, უწყების მონაცემებით, მიმდინარე წლის წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5 პროცენტი შეადგინა.

პირველ სამეულში შედიან თურქეთი – 1 246.9 მილიონი აშშ დოლარით, რუსეთი – 927.3 მილიონი აშშ დოლარით და აშშ – 775.2 მილიონი აშშ დოლარით.

ამასთან, უწყების ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა მსუბუქმა ავტომობილებმა 990.9 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 32.5 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 341.3 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 126.0 მილიონი აშშ დოლარით.

# რუსული ნავთობის ექსპორტი იზრდება

**საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს (IEA) ცნობით, რუსეთის ნავთობის ექსპორტმა ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია აპრილში, 2022 წლის თებერვლის შემდეგ. რუსეთი აპრილში დღეში საშუალოდ 8,3 მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტს ახორციელებდა, რაც მარტთან შედარებით 50 000 ბარელით გაიზარდა.**



რუსეთიდან ნავთობის ექსპორტი 2022 წლის თებერვლის შემდეგ დაეცა 7,4 მილიონ ბარელამდე დღეში, სანქციებით კი მისი ვაჭრობა დაზარალდა. IEA-ს ყოველთვიური ანგარიშის მიხედვით, ეს ზრდა შეესაბამება რუსეთის გაზრდილ ძალისხმევას ბაზრების ძიებასთან დაკავშირებით იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუწესებიათ სანქციები უკრაინის ომის გამო.

**რუსეთის ბაზრის გადანაცვლება აღმოსავლეთისაკენ აპრილში რუსული ნავთობის ექსპორტის დაახლოებით 80% მიდიოდა ინდოეთსა და ჩინეთში, რაც წარმოადგენს IEA-ს ყოველთვიური ანგარიშების მიერ დაფიქსირებულ ტენდენციას. ინდოეთის ნავთობის იმპორტი ათჯერ გაიზარდა. ინდოეთი ნავთობის სიდიდით მესამე იმპორტიორია მსოფლიოში.**

ამავდროულად, ევროკავშირის ნავთობის იმპორტი შემცირდა. ის სტაბილური იყო 0,6 მილიონ ბარელზე დღეში აპრილში მესამე თვის განმავლობაში, რუსეთზე სანქციების განმეორებითი რაუნდის ფონზე.

**ევროკავშირის სანქციების პირველი რაუნდი რუსეთის ნედლ ნავთობზე ამოქმედდა 2022 წლის დეკემბერში, ხოლო მეორე, რომელიც ეხება რაფინირებულ ნავთობს, თებერვალში. არსებობს დროებითი გამონაკლისი მილსადენებით ნედლი ნავთობის იმპორტისთვის ევროკავშირის ქვეყნებში, რომლებიც ზედმეტად არიან დამოკიდებულნი რუსეთის ნავთობის მიწოდებაზე. თუმცა, რუსული ექსპორტის ზრდამ კრიტიკა გამოიწვია – ინდოეთს ადანაშაულებენ იმაში, რომ ეხმარებოდა მოსკოვს ევროპული სანქციებისგან თავის არიდებაში. ბორელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ინდური ფირმები ყიდულობენ რუსულ ნავთობს და ყიდიან რაფინირებულ პროდუქტს.**

თუმცა, ბორელმა თქვა, რომ ინდოეთი ყიდის „რადგან ვიღაც ყიდულობს". და რომ ევროკავშირმა უნდა აკონტროლოს მყიდველები. ინდოეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ცნობით, ინდოეთის ძირითადი საექსპორტო ბაზრები მოიცავს ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანას, მათ შორის ნიდერლანდებს, გერმანიას, იტალიას და საფრანგეთს. ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაიშანკარი ცოტა ხნის წინ გამოეხმაურა ბორელის განცხადებას და მოუწოდა ევროკავშირს, დაფიქრდეს საკუთარ წესებზე.

**„ნახეთ ევროკავშირის საბჭოს რეგულაციები, რუსული ნედლეული არსებითად ტრანსფორმირებულია მესამე ქვეყანაში და აღარ განიხილება როგორც რუსული",** – უპასუხა ჯაიშანკარმა.

**„მე მოგიწოდებთ, გადახედოთ საბჭოს დებულებას." ინდოეთი და რუსეთი მზად არიან გაზარდონ ვაჭრობა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიხილებოდეს იმპორტი, როგორც „ომის დაფინანსების პირდაპირი გზა".**

## დაურ ბუავა:

# კონფლიქტი აფხაზეთში რუსეთის პროვოცირებულია



**ცნობილმა აფხაზმა ბლოგერმა დაურ ბუავამ, რომელიც საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, ევროპარლამენტში დისკუსიის დროს განაცხადა, რომ კონფლიქტი აფხაზეთში რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული.**

ბუავამ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „მდგრადი მშვიდობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში". მან შეხვედრის მონაწილეებს აფხაზურად მიმართა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

**„უკვე 30 წელია, რაც ამ კონფლიქტის გამო აფხაზეთის მოსახლეობა, ახალგაზრდობა საინფორმაციო ვაკუუმშია. ძალზე მწირი ინფორმაცია აქვთ. მათ ბავშვობიდან ასწავლიან, რომ ქართველი ხალხი აფხაზების მტერია. მე თვითონ ვარ აფხაზი, თბილისში უკვე ორი წელია ვცხოვრობ. ბევრი რამე ვნახე და ბევრი რამე გავიგე. დღეს ქართული მხარე მართლაც მზად არის, რომ აფხაზეთის მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდოს. აფხაზური ენის სტატუსი საქართველოს კონსტიტუციაშია დაფიქსირებული და ის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენის მსგავსად. მაგრამ ჩვენს ახალგაზრდობას ცოტა ინფორმაცია აქვს. მხოლოდ იმას ეუბნებიან, რაც უნდათ რომ მათ იცოდნენ. ამას მესამე მხარე აკეთებს, რომელმაც სინამდვილეში ამ კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა 30 წლის წინ, ეს რუსეთია",** – ამბობს დაურ ბუავა.

ბლოგერის აზრით, **სრულიად დაუშვებელია, რომ ქართველები და აფხაზები, ორი ერი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ, და ერთობლივი ისტორია აქვთ, 21-ე საუკუნეში ცალ-ცალკე არსებობენ.**



# დევნილებს ბორჯომში საცხოვრებელი ექნებათ

**დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, ბორჯომში, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დაათვალიერა.**

ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, პროექტის დასრულებისთანავე, დევნილ ოჯახებს, თანამედროვე სტანდარტების, ახალგარემონტებული ბინები გადაეცემათ და ბორჯომში, დევნილთა კომპაქტური დასახლებების საკითხი სრულად გადაწყდება.

საცხოვრებელ კომპლექსში, ახალი ბინა 150 ოჯახს, 2025 წელს გადაეცემა. პროექტის ბიუჯეტი 15 მილიონ ლარზე მეტია.

დევნილი ოჯახებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოს 5 ქალაქში, მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს – თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ზუგდიდსა და ბორჯომში დევნილი ოჯახებისთვის, საცხოვრებელი კომპლექსები შენდება. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში, 2025 წლის ბოლომდე, 7000-ზე მეტ ოჯახს ახალ ბინები გადაეცემა, ხოლო 6 000 ოჯახი, „სოფლად სახლის" პროგრამის ფარგლებში, დაკმაყოფილდება. ჯამში, 13 000 ოჯახი საცხოვრებელი ფართით იქნება უზრუნველყოფილი. აღნიშნული პროექტისთვის, 900 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი.

# საბერძნეთში, ხანძრის გამო მოსახლეობა სახლებს ტოვებს

**ათენის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში გაჩენილმა ხანძარმა სახლები, ავტომანქანები და ინფრასტრუქტურა გაანადგურა.**



ხანძრის გამო მოსახლეობა იძულებული გახდა, ტერიტორია დაეტოვებინა. ოფიციალური პირების ცნობით, ხანძრის აქტიური კერები რვა კილომეტრზე ვრცელდებოდა. მედიის ცნობით, პოლიციამ 300-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია მოახდინა. ხანძრის ლოკალიზების პროცესში, მოსახლეობასთან ერთად, 250-ზე მეტი მეხანძრე, 11 თვითმფრინავი და ცხრა შვეულმფრენი მონაწილეობდა.

# „ბლუმბერგის“ ერთწლიანი რეკლამა

**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მედიაპლატფორმა „ბლუმბერგი“ (Bloomberg) მილიონობით მაყურებელსა და სოციალური ქსელების მომხმარებელს საქართველოს ტურისტულ მიმართულებას გააცნობს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი მასშტაბური კამპანია „ბლუმბერგზე“ წლის ბოლომდე გაგრძელდება.**




ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კამპანიის ფარგლებში „ბლუმბერგი“ საქართველოს ტურისტული პოტენციალის, ღვინის, გასტრონომიის, ცხოვრების წესის (ე.წ. Lifestyle) შესახებ ორ ვიდეორგოლს განათავსებს, ამ მიზნით პოპულარული გადაცემის Sorted Food ორი წამყვანი საქართველოში იმოგზაურებს. კამპანიის ფარგლებში განთავსდება ვიდეორგოლი საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის შესახებ.

მასშტაბური მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში „ბლუმბერგი“ საქართველოს შესახებ ორ ახალ სტატიას გამოაქვეყნებს. საქართველოს შესახებ რეკლამა გავრცელდება სოციალურ მედიაში.

„ბლუმბერგის“ აუდიტორიის დიდი ნაწილი მაღალშემოსავლიანი ადამიანებისგან შედგება, კამპანიის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვა.



# ვეშაპების მასობრივი გამორიყვა

**შოტლანდიის სანაპიროზე წყალმა 55 ვეშაპი გამორიყა. ინფორმაციას სოციალურ ქსელში ბრიტანეთის საზღვაო მაშველების ჯგუფი ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ფაქტი მასობრივი გამორიყვისა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შემთხვევაა. საზღვაო მედიკოსებმა გამორიყული ვეშაპებიდან, მხოლოდ ერთის გადარჩენა შეძლეს.

# ფლორიდული ლუდი მესის პატივსაცემად




**ამერიკის შეერთებულ შტატებში „ინტერ მაიამის“ ფორვარდ ლიონელ მესის საპატივცემულოდ ლუდი გამოუშვეს.**

ფლორიდას შტატში ადგილობრივმა ლუდსახარშმა კომპანია Prison Pals Brewing Co-მ გაყიდვაში ჩაუშვა ლუდი, სახელწოდებით GOAT Beer. ქილა ვარდისფერია შავი შრიფტით, რაც იმეორებს „ინტერ მაიამის“ სათამაშო ფორმის ფერებს. ასევე მასზე გამოსახულია ციფრი 10 – ლიონელ მესის სათამაშო ნომერი. აღსანიშნავია, რომ კომპანიის გენერალური დირექტორი, თანადამფუძნებელი და ტექნოლოგი – არგენტინელები არიან. ადრე იტყობინებოდნენ, რომ მესის დებიუტი „ინტერ მაიამიში“, შესაძლოა, 22 ივლისს შედგეს მექსიკური „კრუს ასულის“ წინააღმდეგ. მატჩი Leagues Cup-ის ტურნირის ჯგუფური ეტაპის რანგში გაიმართება.

# ახალი სომხური მანქანა ირანული ნაწილებით



**სომხეთში საკუთარი ავტომობილის, Sepuh 1-ის წარმოება დაიწყო. ამის შესახებ სომხეთის ეკონომიკის მინისტრმა ვაან კეროზიანმა განაცხადა.**

ავტომობილის სახელწოდებაა Sepuh 1, ქარხანა კომპანიამ Iran Khodro-მ ააშენა. ქარხანაში ირანიდან გამზადებული დეტალები ჩააქვთ და იქ ავტომობილის აწყობა ხდება. ამასთანავე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სომხეთში წარმოებული მანქანები ძალზე ჰგავს კორეული კომპანიის, SsangYong-ის ავტომობილებს.

# თაჯ-მაჰალი სტიქიის პირისპირ

**ინდოეთში წყალდიდობაა – გადაუღებელი სეზონური წვიმის შედეგად მდინარე იამუნა კალაპოტიდან გადმოვიდა, ადიდებული წყალი კი ქალაქ აგრაში თაჯ-მაჰალს მიუახლოვდა და ძეგლს დატბორვით ემუქრება.**



საფრთხე ექმნება მოსახლეობასაც. ადგილობრივები შიშობენ, რომ ნალექის მატების შემთხვევაში დიდია რისკი რომ მათი სახლები საცხოვრებლად უვარგისი გახდება.

# მოსკოვის ქუჩები წყალმა დაფარა

**წყლის ნაკადმა ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხა. წყალმა ავტომობილები დააზიანა.** წყალდიდობამ რუსეთში დედაქალაქს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა. დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.



# „გაწკეპლეს 274 კაცი და 58 ქალი“

**ბოლო თვეების განმავლობაში „თალიბანის“ ხელისუფლებამ ავღანელი ქალების და გოგონების მიმართ კიდევ უფრო გაზარდა შეზღუდვები, მათ შორის ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა განათლება და დასაქმება.**

„თალიბანის“ ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, მხოლოდ კაცებს ექნებათ უფლება ჩააბარონ გამოცდები. გარდა ამისა, ქალებს ნათესავი კაცის გარეშე შორ მანძილზე შეზღუდული აქვთ გადაადგილებაც. მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში, „თალიბებმა“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელი ორი ავღანელი ქალი დააკავეს, რადგან ისინი კომპანიონის გარეშე გადაადგილდებოდნენ. როგორც გაერო თავის მოხსენებაში აღნიშნავს, „თალიბანის“ სადაზვერვო სამსახურმა დააკავა ბებიაქალი. ის 5 საათის განმავლობაში დაკითხეს და მოკვლითაც კი დაემუქრნენ, თუკი არასამთავრობო ორგანიზაციასთან მუშაობას გააგრძელებდა.



ამის შემდეგ კი ქალმა ორგანიზაცია დატოვა. ასევე, დადასტურდა ცნობები ქალების მიმართ ფიზიკური ძალადობის შესახებ. თალიბანის მანკიერებისა და სათნოების დეპარტამენტის წევრებმა ხელკეტით სცემეს ქალს და პარკი იძულებით დაატოვებინეს. „თალიბანმა“ გოგოებს მხოლოდ 6 კლასის განათლების უფლება მისცეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 24 ივლისს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5692; ევრო - 2.8819;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3203;
100 რუბლი - 2.8595; თურქული ლირა - 0.0956;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5119;
1000 სომხური დრამი - 6.6529

**ამინდი 20 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +9, | დღე +31 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +33 |
| თბილისი: | ღამე +20, | დღე +34 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge